სახალხო ფურცელი

№ 825 ოთხშაბათი, 22 მარტი 1917 წ. № 825

განცხადების ფასი:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 30 კაპ., უკანასკნელზე—20 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—40 კ., უკან—20 კაპ., ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15×2 ღირს 6 მან., 20×2 ღირს 8 მან., 25×2 ღირს 10 მან. 3 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „ქართლში“ პუშკინისა და ლორის-მელიქოვის ქუჩა, სახლი ძველი სასულიერო სემინარიისა და ეღირება ერთი მანეთით მეტი,

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო ფურცლის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Пурцели“, поч. ящ. 190.

ტელეფონი 12—29

საპოლიტიკო და სალიტერატურო
გაზეთი

სახალხო ფურცელი

კვირეული სურათებიანი დამატებით

ღირს:

ერთი წლით 15 მანეთი, ნახევარი წლით 8 მან., სამი თვით 3 მ. 75 კ.

ხელის მოწერის ფასის გადახდა შეიძლება **ნაწილნაწილადაც:** ხელის მოწერის დროს 7 მანეთი, პირველ აპრილისთვის 4 მ. და პირველ აგვისტოსთვის 4 მ.

1 მარტიდან წლის დამლევამდე ღირს 13 მან.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველი რიცხვიდან.

მისამართის გამოცვლა ღირს 1 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება—სასახლის ქუჩა, № 6, შესასვლელი ეზოდან.

საფოსტო მისამართი: Тифлисъ, Ред. „Сахалхо Пурцели“, почтов. ящикъ 190.

„სახალხო ფურცლის“ კანტორა

მოაგონებს წლიურ ხელის მომწერს, რომ მეორე ვადის გადასახადი 4 მან. უნდა შემოტანილ იქმნეს 1 აპრილისთვის.

სვიმონ მიხეილის ძე და ანუსია ალექსანდრეს ასული ჯაჯანაშვილები შვილებითურთ და სიძით გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროვოდ გარდაცვალებას ძვირფასი შვილის

საშა ჯაჯანაშვილისა

პანაშვიდები ყოველ დღე 6½ საათზე საღამოს ტფილისის მიხეილის საავადმყოფოს სამლოცველოში. დაკრძალვა 24 მარტს პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. გასვენება დილის 10 საათზე მიხეილის საავადმყოფოდან. 355

ღრმად დამწუხრებული ალექსანდრე და გიორგი ლორთქიფანიძენი, აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი დედა

ბარბარე ნიკოლოზის ასული ლორთქიფანიძე.

პანაშვიდი 22 მარტს საღამოს 7 საათზე. მიხეილის პროსპექტი № 168. მიცვალებულს გამოასვენებენ ბინიდან 23 მარტს, დილის 9½ ს. დიდუბის ეკლესიაში, სადაც მოხდება დაკრძალვა. 357

გაუბედურებული ქვრივი ანასტასია (კაკი) ევგენის ასული, ვალიკო მიხეილის ძე და ვერა აფრასიონის ასული მაჭავარიანები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ გარდაცვალებას პირველი უსაყვარლესი მეუღლის, მეორე ძვირფასი მამის, ხოლო მესამე საიმედო მამამთილის

მიხაკო დავითის ძის მაჭავარიანისას.

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 353

ქვრივი კნეინა დარია ზურაბის ასული ბაგრატიონ დავითიშვილისა შვილით მარგოთი აუწყებს ნათესავებს და ნაცნობთ, რომ გარდაცვალებულის

თავად მიხეილ ედიშერის ძის ბაგრატიონ-დავითიშვილის

6 ხუთ წლის წირვა და პანაშვიდი იქნება გარდახდილი ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში ხუთშაბათს, 23 მარტს. წირვის დასაწყისი დილის ათ საათზე. 356

ხარფუხის საზოგადო კლუბი

(მიხეილის პროსპექტი № 163, საზამთრო შენობა).

ოთხშაბათს, 22 მარტს, 1917 წელს.

ქართულ მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება

სტუმარი

2 მოქმ. ერდუარდ ბარდესი, თარგ. ი. მაჭავარიანისა.

წარმოდგენაზე შესვლა უფასოა.

დასაწყისი საღამოს 9 საათ. სტუმრები საზოგადო წესით. 1069

ტფილისის ქალაქის მოურავის

განცხადება

შემოსავლის კვალობაზე გადასახადების შესახებ განცხადებათა მიცემის ვადა თავდება 1917 წლის 24 მარტს.

ტფილისის სახაზინო პალატის ცნობით კი ამ ჟამად სრულიად შეწყვეტილა ამ განცხადებათა მიტანა.

რადგან შემოსავლის კვალობაზე გადასახადი არსებითად ახალი წესწყობილების საქმეა, მე მივმართავ ტფილისის მოქალაქეთა და ტფილისის გუბერნიის მცხოვრებთა გონიერებას და ვსთხოვ 1917 წლის 24 მარტამდე დაუყოვნებლივ და შეუჩერებლივ მისცენ განცხადებანი შემოსავლის შესახებ. 1097

ტფილისის მასწავლებელთა დელეგატების კრების კომიტეტი

მოწოდებს ბ-ნ დელეგატებს, რომელთაც **რწმუნებულება** აქვთ სასწავლებელთაგან საგანმანათლებლო საზოგადოებისა და მშობელთა წრეების ცენტრალურ საბჭოებისაგან, მობრძანდნენ

დელეგატთა კრებაზე

კრება მოხდება პარასკევს, 24 მარტს, საღამოს 7 ს., პირველ საქალებო გიმნაზიის დარბაზში.

განსახილველი საგნები:

1. კომიტეტის მოხსენება მიმდინარე საქმეთა შესახებ.
2. საკითხი საოლქო სამზრუნველო საბჭოში წარმომადგენლობისა.
3. დამოკიდებულება მოწაფეთა ორგანიზაციებთან.

1097 **კომიტეტი.**

ახალი დიდი **ცირკი** ახალი დიდი

ძმ. ეფიმოვებისა

მიხეილის პრ., მუშტ. ახლო, საკუთარი, ახლად შეკეთებ. კაპიტალური **საზამთრო შენობა, ტელეფ. 19.00**

დღეს 22 მარტს, გაიმართება

დიდი საგალაპრეზენტო ოფისომი

მონაწილეობას მიიღებს ხუთი კლიკეტი, ბოლხონსკაია, როზეტტი, კოლპეტი, ალექსი, ბრუნოსპაპი, დონატო-პოლო, დიდი კორდებალიტი. **დღეს მე-20 დღე ფრანგული ჭიდაობისა.** ჭიდაობენ 5 წყვილი. 1. ზანგი ჯაკსონი—ჰანნიბალი, 2. ზაგორუიკო—არნოლდი, 3. შავნილაბიანი—აბერგი, 4 სტუპინი—მუგურა, 5. სტერს—ბოგატირიოვი.

ხელმძღვანელობს **ელიზაროვი.**

ანონსი: 23 მარტს ბენეფისია როზეტის და კოლპეტისა.

ტფილისი, 22 მარტი, 1917 წ.

კავკასიის კომისარების ჩამოსვლა.

გუშინწინ საქართველოს დედა ქალაქში ჩამოვიდნენ კავკასიის კომისარები. ჩვენი ცხოვრების მესვეურნი უმდაბლეს ადგილიდან უმაღლესამდე შეიცვალნენ, საბოლოოდ წაილეკა ძველი დახავსებული წყობილება, მოგვშორდნენ პატივმოყვარეობის გრძნობით გაჟღენთილი ბიუროკრატები.

ამიერიდან ხალხის საქმეებს დარაჯად უდგანან არა ანგარებით გატაცებული უღირსი შვილნი, არამედ ნაგვემ-ნაწამები მოციქულნი დაჩაგრული საზოგადოებისა.

კავკასიის კომასარები არიან განმცდელნი რუსეთის სიდუხჭირისა, მებრძოლნი სახალხო თავისუფლებისათვის და ენერგიული ბრძოლა ხალხის კეთილდღეობისათვის გვავალებს მათ მუშაობას პატივი ვსცეთ, დავეხმაროთ, ნდობა გამოუცხადოთ და რევოლიუციით მოპოვებული უფლებანი განვამტკიცებიოთ.

კავკასიის მოქალაქეთ უნდა სწამდეთ მნიშვნელობა რევოლიუციისა, ძალა სახალხო თავისუფლებისა და ამ რწმენით რევოლიუციის მოციქულთ მოახერხებიონ ხალხის სხვა და სხვა მოთხოვნილების გამორკვევა და დაკმაყოფილება.

დიდია წყურვილი რევოლიუციის ნაყოფის მიღებისა, დავიტანჯენით თმენასა და უბედურ ცხოვრებაში და ვცდილობთ ეხლავე იდეალურად მოვაგვაროთ ჩვენი საზოგადოებრივი ურთი-ერთობა. შესაძლებელია ესოდენი მისწრაფება და უმაღლესი მოთხოვნილება ერთის ხელის დაკვრით და ძლიერ მოკლე ვადაში არ იქმნას ისე გაკეთებული როგორც ამას ჩვენ მოვითხოვთ, როგორც ეს სურს რევოლიუციონურ მთავრობას და რევოლიუციონურ კომისარიატს, მაგრამ უნდა შევიგნოთ აზრი რევოლიუციისა: პირველ შესაძლებლობის მიხედვით უნდათ სახალხო ცხოვრება სახალხო პრინციპების მიხედვით მოწყობა.

ჩვეულებრივ დროშიაც ვერ წარმოვიდგენთ მდგომარეობას, რომ ხალხის ყოველი წრე, ძალა ერთნაირად კმაყოფილი იყოს შექმნილ წესების, უკმაყოფილობა შეიძლება განსაკუთრებით ეხლავე გამოცხადდეს, როცა ხდება რღვევა ძველისა და შენება ახლისა, მაგრამ ამ უკმაყოფილებას დაკვირვება და შესწავლა უნდა.

რევოლიუციის ხანაში ორნაირი უკმაყოფილობა არსებობს: ძველი წყობილებით შექმნილი უპირატესობა ისპობა, ისპობა წყარო უკანონო შემოსავალის, ცხადია, უსამართლო და უკანონო რენტის ხალხი სულისა და გულის სიღრმიდან ამოიტანენ უკმაყოფილობას. ამ წყურვილის ჩასაქრობად რევოლიუცია არსებობს და ძალა სწყვეტს საკითხებს. საყურადღებო და ძვირფასი კი ის დაუკმაყოფილებელი გრძნობაა, რომელსაც არ მოსწონს ფორმა და შინაარსი განახლებული წეს წყობილებისა. სხვა და სხვა პროგრესიული მიმართულება არსებობს, სხვა და სხვა რევოლიუციონური გეგმაა წარმოდგენილი სახალხო ცხოვრების ასაგებად. რევოლიუციისათვის ძვირფასია ყოველივე გეგმა, ყოველივე პროგრესიული მიმართულება, ვინაიდგან ხვალ შეიძლება ის პროგრესიული პლატფორმა მოგვეწონოს, რომლის შეუწყნარებლობას დღეს ვაღიარებთ.

შეუძლებელია ყოველგვარ პროგრესიულ გეგმის ამ ჟამად მაინც ერთნაირი შესრულება. ამიტომ სასურველად მიგვაჩნია კულტურულ ბრძოლის და კრიტიკის სრული თავისუფლება, დეე კრიტიკამ გამოაშკარაოს ყოველი ნაკლი რევოლიუციონურ მთავრობისა, თუ კი მის მოქმედებაში ნაკლს ექნება ადგილი. ხალხსა და რევოლიუციას კრიტიკის არ ეშინიან. მაგრამ საჭიროა გვახსოვდეს: გარდამავალ ხანაში ვცხოვრობთ, ძველიდან ახალ ცხოვრებას ვიწყებთ და საამისო ფორმები, გონივრული წესებიც ჯერ არ არის შედგენილი. ეს არის უდიდესი საქმე რუსეთის დამფუძნებელ კრებისა. მანამდის ეხლანდელი სამინისტროც, ეხლანდელი კომისარიატი არის მხოლოდ დროებითი ხასიათის დაწესებულება. ამნაირად არსებულ არასასურველ ფორმებსაც ჩვენ უნდა შევხედოთ როგორც გარდამავალ, დღიურ ფორმებს, რომელიც ხვალ-ზეგ უმჯობესზე, უფრო წესიერსა და სასურველზე შეიცვლება. რასაკვირველია ეს მდგომარეობა რამდენადმე გაალხობს და შეანელებს პროგრესიულ მოტივით გამოწვეულ უკმაყოფილობას.

მაგრამ ყოველივე ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ დროებით შექმნილ ფორმებს სიჩუმით შევხვდეთ და მოვიწონოთ დასაგმობი; არა, თუ ეხლავე დავივიწყეთ კრიტიკის ძალა, ღირებულება გონების გამჭრიახობისა, მაშინ უმჯობეს მომავალსაც ვერ შევქმნით. და დამფუძნებელ კრებისათვის კი თავისუფალი აზროვნება და ბრძოლა ეხლავე უნდა იქმნეს გაჩაღებული. ეს მიუცილებელია და თავმდებია რევოლიუციის განმტკიცებისა.

ამნაირად კავკასიის კომისარიატს, როგორც დროებით მთავრობას, ჩვენ უნდა გავუადვილოთ მუშაობა პრაქტიკულ მოქმედების დახმარებით, ისე თავისუფალ კრიტიკის წარმოებით. კომისარიატს ხალხის ნდობა აქვს, ჩვენ გვწამს, რომ მთელი მისი ზრახვა გამსჭვალულია ხალხის სიკეთით და მაშასადამე მის უნებლივ შეცდომებს შეგნებულად მოვეპყრათ.

[illegible] კავკასიის კომისარიატისა თვით მის ინდივიდუალობაში გამოიხატება, კავკასია არის სხვა და სხვა ერის სამყარო და კომისარიატში წარმოდგენილია ეს სხვაობა და ერთობა ერებისა. ეს არ არის შემთხვევითი გარემოება, ეს რევოლიუციონურ მთავრობის განზრახულებაა და გვწამს, რომ სხვანაირად ეს კავკასიის კომისარიატს არ შეუძლია ესმოდეს. მაშასადამე ეროვნული და სოციალურ-პოლიტიკური თავისუფლება, სხვაობა და ერთობა, ესე იგი ავტონომია და ფედერაცია ინდივიდუალურად გამოხატულია კომისარიატში და კომისარიატიც თავის დანიშნულებას მიაღწევს თუ ამას მოქმედებითაც გამოხატავს.

მივესალმებით კომისარებს და უსურვებთ დიად მიზნების განაღდებას.

მისალოცი დეპეშები

ბაიბურთი. სამშობლოს მოშორებული ბაიბურთელი ქართველობა მიესალმება თავისუფლების ბრწყინვალე მზეს, რომელმაც დაჩრდილა ბნელეთი ტირანიისა. დიდება თავისუფლებისათვის მებრძოლთ. იმედი გვაქვს განთავისუფლებული რუსეთი ბორკილების ამარა არ დასტოვებს საქართველოს, რომელიც თავის ნებით შეუერთდა რუსეთს. დარწმუნებული ვართ საქართველოს მიენიჭება ტერიტორიალური ავტონომია და საქართველოს ეკლესიას—ავტოკეფალია.

ამხანაგების მონდობილობით

გრიგოლ მაისურაძე

—

ხონი. ხონელ სოციალისტ-ფედერალისტების მრავალრიცხოვანი კრება ალტაცებით ეგებება კიტა აბაშიძის არჩევას კავკასიის კომისარად. თანაც უსურვებს კომისარს ძველებურის ენერგიით განაგრძოს მუშაობა ქართველ დემოკრატიის საკეთილდღეოდ.

კრების თავმჯდომარე **პოლიკარპე ჩხიკვიშვილი,** მდივანი **ვლადიმერ ბახტაძე**

—

სვირი. კიტა აბაშიძეს. სიხარულით ვეგებებით შენს კავკასიის კომისარად არჩევას. ძვირფასო ამხანაგო! გაუმარჯოს ავტონომიურ საქართველოს ფედერატიულ რუსეთში.

ამხანაგების მონდობილებით **ქამუშაძე, ფორაქიშვილი, ლორთქიფანიძე, კაპანაძე, ცხადაძე, ვარდოსანიძე**

რევოლიუცია და ერები

კიევში 14 მარტს გაიმართა უკრაინელ ოფიცრებისა და ჯარისკაცების კრება, რომელზედაც გადაწყდა უკრაინელთა ლეგიონების დაარსება. კრებამ საჭიროდ აღიარა მთელი უკრაინის მიწები გაერთიანდეს და შეუერთდეს რუსეთის ფედერაციას.

— პეტროგრადის მუშათა და სალდათების დეპუტატთა საბჭოში არსებობს განსაკუთრებული, ეროვნული ფრაქცია უკრაინელებისა, რომელშიაც 50 კაცი შედის და ზოგიერთ კერძო შემთხვევაში ცალკე გამოდის.

პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს მოწოდება

მთელი ქვეყნის ერებს!

ამხანაგებო, პროლეტარებო და ყველა ქვეყნის მშრომელო ხალხნო!

ჩვენ, რუსეთის მუშანი და ჯარისკაცნი, გაერთიანებულნი პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოში, გიგზავნით აღფრთოვანებულ სალამს და გახარებ დიად ამბებს. რუსეთის დემოკრატიამ ძირს დასცა თვითმპყრობელის საუკუნო დესპოტიზმი და შემოდის თქვენს ჯახში უფლებიან წევრად და მრავალ ძალით ჩვენი საერთო განთავისუფლების ბრძოლა[illegible]ბა მთელი მსოფლიოს დემოკრატიის და თავისუფლების დიადი გამარჯვებაა. ამიერიდან მოისპო მთელი ქვეყნიერების რეაქციის მთავარი ბურჯი და „ჟანდარმი“ ევროპისა. დეე, მისს საფლავს დედამიწა გადაეკრას რკინის სალტად! გაუმარჯოს თავისუფლებას! გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარიატს და მის ბრძოლას საბოლოო გამარჯვებისთვის.

მაგრამ ჩვენი საქმე ჯერ არ დასრულებულა! ჯერ არ გამქრალან ძველი წყობილების აჩრდილნი და მრავალი მტერი იერიშს ამზადებს რევოლიუციის წინააღმდეგ. მაინც ფრიად მნიშვნელოვანია ჩვენი გამარჯვება. ეხლავე, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ რუსეთში დამყარდება დემოკრატიული რესპუბლიკა. რუსეთის ხალხს აქვს სრული პოლიტიკური თავისუფლება. ეხლა მას შეუძლიან სთქვას თვისი მძლე სიტყვა ქვეყნის შინაურ თვითგამორკვევისა და მის საგარეო პოლიტიკაზე. მოვმართავთ ყველა ერებს, რომელნიც ჰნადგურდებით და იღუპებით ამ საზღაპრო ომში და გიცხადებთ, რომ დადგა დრო დავიწყოთ გადამწყვეტი ბრძოლა ყველა ქვეყნის მთავრობათა დამპყრობელ მისწრაფების წინააღმდეგ. დადგა ჟამი, როცა ხალხმა თავს უნდა იდვას ომისა და ზავის საკითხის გადაჭრა.

რუსეთის დემოკრატიას შეგნებული აქვს თვისი სარევოლიუციო ძალა და აღვიარებს, რომ იგი ყოველ ზომას მიიღებს თვის გაბატონებულ კლასთა დაპყრობის პოლიტიკასთან საბრძოლველად. რუსეთის დემოკრატია მოუწოდებს ევროპის ერებს გაბედულად გამოვიდნენ ზავის მოსაპოვებლად. და ჩვენ მივმართავთ ჩვენს ძმებს, გერმანია-ავსტრიის კოალიციის პროლეტარებს, პირველ ყოვლისა გერმანიის პროლეტარიატს. ომის პირველ დღიდანვე თქვენ გარწმუნებდნენ, რომ თვითმპყრობელ რუსეთის წინააღმდეგ იარაღის აღმართვით თქვენ იცავთ ევროპის კულტურას აზიის დესპოტიზმისაგან. ბევრი თქვენგანი ამაში ჰხედავდა საბუთს, რათა დაეხმარებოდა ომს. ეხლა აღარ არსებობს ეს საბუთი. დემოკრატიული რუსეთი აღარ წარმოადგენს თავისუფალ ცივილიზაციისათვის საფრთხეს.

ჩვენ მედგრად დავიცავთ საკუთარ

თავისუფლებას, როგორც შინაურ რეაქციონურ გამოსვლებისაგან, აგრეთვე გარედან მოტანილ იერიშისაგანაც. რუსეთის რევოლიუცია არ შეუდრკება დამპყრობელთა ხიშტებს და გარეშე სამხედრო ძალას არ მისცემს ნებას, რომ რევოლიუცია გაისრისოს. მაგრამ, მოგიწოდებთ თქვენ: მოიხსენით კისრიდან თქვენი თვითმპყრობელის უღელი ისევე, როგორც რუსეთის ხალხმა დაანარცხა მიწაზე თვისი ხელმწიფის თვითნებობა. უარი სთქვით მეფეთა, შემამულეთა და ბანკირების სამსახურზე, ძალადობისა და დაპყრობისაკენ რომ არის მიმართული და ერთსულოვანი, გაერთიანებულის ძალით ჩვენ ბოლოს მოვუღებთ საშინელ სისხლის ღვრას, რაიცა ჩირქსა სცხებს მთელს კაცობრიობას და ჩრდილს აყენებს რუსეთის თავისუფლების დიად დღეებს.

ყველა ქვეყნის მშრომელო ხალხო! ჩვენს შუა ალმართულან ჩვენი ძმათა გვამების მთები, მომდინარეობს უშანკო სისხლისა და ცრემლის მდინარე, იწვის განადგურებული სოფელი და ქალაქი. და აი, აქედან გიწვდით ძმურად ხელს და მოგიწოდებთ აღადგინოთ და განამტკიცოთ საერთაშორისო ერთობა. იგია თავმდები ჩვენი მომავალი გამარჯვებისა და კაცობრიობის სრული განთავისუფლებისა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

უკრაინა.

„კიევსკაია მისლში" № 63 მოთავსებულია უკრაინელთა ერთი უდიდესი საზოგადოება „რადის" მოწოდება. „რადის" გარშემო მოგროვილია ყველა ორგანიზაცია. მოწოდება უკრაინულ ენაზეა დაწერილი და შემდეგი შინაარსისა არის:

„უკრაინელებო, ძმებო, ამხანაგებო! [illegible], დატანჯულო, ღირსებაახ[illegible] და გაქურდულო ხალხო! დადგა [illegible] დღე, საათი არ იცდის, [illegible]! განახლებული უკრაინის იდე[illegible]საკენ.

ძველმა მთავრობამ [illegible] ჩვენი კულტურა, ჩვენი ნაციონალური დაწესებულებები.

ახალი მთავრობა, რომელმაც [illegible] ძველი რეჟიმი, ხელს შეუწყობს რუსეთში [illegible] რესპუბლიკის განხორციელებას. ჩვენი [illegible] [illegible] იქ[illegible], გახსნით სკოლები უკრაინულ ენაზე, შეადგინეთ ორგანიზაციები, გამოსცით გაზეთები, შეაგროვეთ ფონდები, მოიწვიეთ წრეები, მიტინგები, აუხსენით ავტონომიის სიდიადე, რომ მთელმა ხალხმა ერთის ხმით მოითხოვოს ავტონომიური უკრაინა, ფედერატიული რუსეთის რესპუბლიკის ფარგლებში მბრწყინავი.

მოითხოვეთ ავტონომია ახლავე, თუ არა პასუხს ვაგებთ ისტორიის წინაშე, რომ ისეთ დროს რუსეთის ისტორიაში, რომლის მზგავსიც აწი არ იქნება, ჩვენ მომზადებულად არ დავრჩით. დაივიწყეთ შური, პარტიული უთანხმოება და გარს შემოერტყით ხმელნიცკის დიად იდეალს!"

---

8 მარტს შესდგა კრება სტუდენტების „რადისა". დაადგინეს მოიწვიონ ყველა წევრი, მჭიდრო კავშირი შეკრან მუშებთან, სალდათებთან და საშუალო სასწავლებლის მოწაფეებთან.

---

9 მარტს ტეხნიკურ საზოგადოებაში შედგა აუარებელი კრება, რომელმაც დაადგინა უკრაინული ლეგიონის შედგენა. მოწვეულია ოფიცრები.

---

10 მარტს კიევის ქალაქის თავმა განაცხადა, გრუშევსკის სახელობაზე დარსებულ სასწავლებელში ყველა საგანი უკრაინულ ენაზეუნდა ისწავლებოდესო. ასეთი იყო განსვენებულის სურვილი და ეგ სანეტარო დრო უკვე დადგაო.

უკრაინელი ყველა საშუალო სასწავლებლის მოწაფეები დიდი აღტაცებით შეხვდნენ „რადის" მიერ უკრაინის ავტონომიის მოთხოვნას.

---

10 მარტს პეტროგრადში სხდომა ჰქონდა რესპუბლიკანელთა პარტიას, რომელსაც სათავეში უდგანან; პროფ. ლუჩიცკი, არ. რუზსკი, სლავინსკი და სხვ. მათის აზრით რესპუბლიკანური მართვა უნდა მოეწყოს ფართო ავტონომიურ ჩიადაგზე, რათა დაცული იქნეს პატარა ერების ინტერესები.

უკრაინელთა პროგრამა. ოდესაში უკრაინელთა კომიტეტს მოუწვევია მრავალრიცხოვანი მიტინგი, რომელზეც მონაწილეობა მიუღია უკრაინელს ყველა პოლიტიკურ პარტიას და დაუდგენიათ: მოითხოვონ უკრაინის ავტონომია რესპუბლიკურ მართვა-გამგეობით, გამოსცენ მოწოდება უკრაინელთა შესაკავშირებლად და ეროვნული იდეების გასაღრმავებლად, მოიწვიონ საერთო უკრაინელთა კრება და სხ.

რევოლიუციის დეპეშები

სინოდში.

[illegible] პროკურორს ვ. ლვოვს ეწვია მოსკოველ სამღვდელოებისა და ხალხის დეპუტაცია, რომელმაც მოსთხოვა მიტროპოლიტ მაკარის გადაყენება. ობერ-პროკურორმა აღუთქვა, თქვენს სურვილს სინოდს შევატყობინებო.

ობერ-პროკურორის განკარგულებით 1906 წელს მოსპობილი სამღვდელოების კრება განახლდება.

სინოდის ახლანდელი სესია 21 მარტს გათავდა. ახალი სესია ნაღდგომევს განახლდება.

გლეხთა კრება.

პოლტავა, 18 მარტი. პოლტავის გუბერნიის გლეხთა რწმუნებულების კრებამ როძიანკოს გაუგზავნა დეპეშა: თავისუფალი მოქალაქე რუსეთის მრავალი მილიონიანი გლეხობა დაიცავს სიმშვიდესა და წესიერებას. ჩვენ მზადა ვართ ომის გამარჯვებამდე წარმოებისთვისო.

მინისტრები ბანაკში.

მოგილევი, 18 მარტი. დროებითი მთავრობის მინისტრთა საბჭო მთავარსარდლის ბანაკში მისულა. მინისტრების მატარებელს მარსელიოზის სიმღერით ეგებებოდა ხალხი. სადგურის ბაქანზე მინისტრებს მიეგება მთელი შტაბი და აგრეთვე მოკავშირეთა სახელმწიფოს წარმომადგენელნი, რომელნიც საგანგებოდ გამოგზავნილი არიან მთავარ სარდლის შტაბში.

პირველად ა. კერენსკი მიესალმა დამსწრეთ. მან გადაკოცნა გენერალი ალექსეევი. სთხოვა ხალხის სალამი გადაეცათ ჯარისა და ფლოტისადმი. შემდეგ ილაპარაკეს მილიუკოვმა, შინგარიოვმა და ნეკრასოვმა, რომელთაც ომის გამარჯვებამდე წარმოებისთვის მოუწოდეს. ხალხი აღტაცებით ჰხვდებოდა მინისტრებს.

უკრაინის გაზეთები

ციურიხი, 18 მარტი. უკრაინელების გაზეთები გალიციაში ცენზურის სისასტიკის მიუხედავად აცხადებენ, რუსეთის უკანასკნელი ამბები უკრაინის ბედს არსებითად სცვლის. იმედი აქვთ, რომ მალე გაიგებენ ახალ მთავრობის განცხადებას ამ საკითხის შესახებ.

სოციალდემოკრატები და ზავი

სტოკჰოლმი, 19 მარტი. ბერლინიდან გვატყობინებენ: გერმანიის სოციალისტურ პარტიის კომიტეტმა დაპეშით აცნობა დანიის მინისტრს სტაუნინგს: „გთხოვთ ეს დეპეშა ჩხეიძეს გადასცეთ. კოპენჰაგენში მყოფმა რუსის სოციალისტებმა ზავის წინადადება გადმოგვცესო და გვითხრეს, რომ რუსეთის რევოლიუციაში სხვისი ჩარევა, მათს წინააღმდეგობას გამოიწვევსო. ჩვენ სოლიდარობას ვუცხადებთ ამ გამოსვლას, რაიც რეიხსტაგში კამათისას დავამტკიცეთ. სხვა პარტიებმაც და იმპერიის მთავრობამაც გადაჭრით განაცხადეს, რუსეთის შინაურ საქმეებში არ ჩვერევითო. გერმანიის სოციალ-დემოკრატია მიესალმება რუსის [illegible] ვებს, რომ რუსის ხალხის პოლიტიკურ დაწინაურებამ ხელი შეუწყოს საერთო ზავის მალე დამყარებას. სწორედ ამისთვის ომის დაწყებიდანვე გერმანიის სოც.-დემოკრატები ბრძოლას ვაწარმოებთო.

რესპუბლიკა.

ვიატკა, 19 მარტი. გუბერნიის საერობო ყრილობა დემოკრატიულ რესპუბლიკის დაარსებას ემხრობა. ქალაქში შესდგა სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირი და კადეტების პარტია. დამფუძნებელ კრების მოსამზადებლად კრებამ ორას ორმოცდა ათი ათასი მანეთი გადასდო; ამ მიზნისთვის ფული ნიკოლოზ მეორის სახელობის სკოლის თანხა გადასდო.

საგანგებო დეპეშები

— პეტროგრადის საღამოს გაზეთების სიტყვით მინისტრთა პავილიონში მიუყვანიათ ირკუტსკის გენერალ-გუბერნატორი პილცი.

— სასამართლოს პროკურორი გუშინ თავრიდის სასახლეში მივიდა და გენერალ ივანოვს დაჰკითხა.

— პეტრე-პავლეს ციხეში მიიყვანეს ყოფილ მინისტრის სუხომლინოვის ცოლი, თ-დი ანდრონიკოვი და დამცველ პოლიციის უფროსი გლობაჩევი პოლუბოიარინოვი, ვისსარიონოვი და სხვანი.

— 19 მარტს მანიფესტაციის დროს თავრიდის სასახლეში მივიდნენ მეორე სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წევრები. ამ დროს მუშათა და სალდათების დეპუტატთა საბჭოს სხდომა იყო. გამოიწვიეს ნ. ჩხეიძე. მოხდა გულ-აჩუყებელი შეხვედრა. ციმბირიდან მოსულებს ოვაციები გაუმართეს.

— რევოლიუციის მსხვერპლთა დაკრძალვა 23 მარტს უნდა მოხდეს. კუბოებს გამოასვენებენ დილის 8 ს. გაატარებენ ბაღის ქ. და შემდეგ მარსის ველზე. პროცესია კალონებად იქნება დაყოფილი. ყოველ კალონის გავლის დროს პეტრე-პავლეს ციხიდან ზარბაზანს გაისვრიან.

— გზათა მინისტრმა ნეკრასოვმა განაცხადა: თუ მინისტრად დავრჩები, სათათბიროს თავმჯდომარის ამხანაგობას თავი უნდა გავანებო.

რევოლიუციის ამბები

გერმანელ სოც.-დემოკრატებს მშვიდობიანობა სწადიათ.

გერმანიიდან სტოკჰოლმს გაემგზავრა ერთი ჯგუფი გერმანელ სოციალ-დემოკრატებისა, რათა მოლაპარაკება იქონიონ სტოკჰოლმში მყოფ რუსის ემიგრატებთან. ხსენებული ჯგუფი შემდეგ წინადადებას აძლევს რუს ამხანაგებს: გერმანიისა და რუსეთს შორის შესაძლებელია მორიგება თუ სხვათა შორის შემდეგი პირობები იქნება დაცული: გერმანია დაიტოვებს ელზას ლოტრინგს, ბელგია განთავისუფლდება, მაგრამ მას მუდმივი ჯარი არ უნდა ეყოლოს. აღდგენილ იქნება დამოუკიდებელი სომხეთი ოსმალეთის პროტექტორატის ქვეშ. ზღვის ყელის ნეიტრალიზაცია მოხდება, თუ იგი ოსმალეთის პროტექტორატის ქვეშ დარჩება.

ფრანგის სოციალისტების დევიზი: ომი ბოლომდის.

პარიზიდან პეტროგრადს გაემგზავრენ ფრანგი სოციალისტები, რათა გავლენა იქონიონ რუს ამხანაგებზე. საფრანგეთის პრესა დარწმუნებულია, ფრანგი სოციალისტები, დააჯერებენ რუსის სოციალისტებს რომ საომარ კომპანიის სრულ გამარჯვებამდის გაგრძელება მართებს.

გერმანიაში.

რაიხსტაგში სოც.-დემოკრატ ნოსკეს სიტყვებმა აქაურ მემარჯვენეებში აღტაცება გამოიწვია. ნოსკეს განუცხადებია რაიხსტაგში: გერმანელი სოციალ-დემოკრატები ბრმად არ აჰყვებიან უცხოელ სოციალისტებს. გერმანიის პროლეტარიატი არ მოახდენს უდროვოდ რევოლიუციას და ამით გერმანიას დაღუპვის უფსკრულისკენ არ გააქანებსო. ეს განცხადება ოფიციალური პასუხია გერმანიის სოც. დემოკრატიისა მუშათა დეპუტატებისადმი.

სალამი პოლონეთს.

პეტროგრადის მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭომ შემდეგი მისალმება გაუგზავნა პოლონეთს: „მეფის რეჟიმი, რომელიც საუკუნე ნახევარია სჩაგრავდა პოლონელ ერს რუსის ერთან ერთად, დაიმხო პროლეტარიატისა და ჯარების შეერთებულის ძალებით.

პეტროგრადის მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭო გაუწყებთ ამ გამარჯვებას და აცხადებს, რომ რუსეთი აღიარებს კრების ეროვნულ-პოლიტიკურ თვითგამორკვევის უფლებას და რომ პოლონეთს აქვს სრული ნება იყოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ.

ვუგზავნით პოლონელს ხალხს ძმურს სალამს და ვუსურვებთ გამარჯვებას მომავალ ბრძოლაში დემოკრატიულ რესპუბლიკის დამყარებისთვის".

ზავისათვის

ნევის გემებისა და მექანიკურ ქარხნების მუშების საერთო კრებამ შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანა 12 მარტს: წინადადება მივსცეთ მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭოს, დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები მუშათა ინტერნაციონალის აღსადგენად, რომ მით ბოლო მოეღოს საერთაშორისო ომს; მოითხოვოს საბჭომ დროებითი მთავრობისაგან, განაცხადოს, რომ რუსის ხალხს უნდა გაათავოს ომი უახექსიოდ და უკონტრიბუციოდ; დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს საამისო პროპაგანდა ჯარებში.

— პეტროგრადის „რაბოჩაია გაზეტა" ეკამათება მილიუკოვს, რომელიც სტამბოლის დაპყრობას მოითხოვს და ამბობს: „რუსეთის დემოკრატიას არაფერი არა აქვს საერთო მილიუკოვის დაპყრობის პოლიტიკასთან. რუსეთის დემოკრატია მიმართავს მოწოდებით ევროპის დემოკრატიას, რომ შეერთებულის ძალღონით შევაჩეროთ ომი. მიმართავს ავსტრიისა და გერმანიის დემოკრატიასაც, რომ ხელში ჩაიგდონ სახელმწიფოს მართველობა და აიძულონ ზავის ჩამოგდება".

იმპერიალიზმი და სოციალიზმი

იმავე „რაბ. გაზეტაში" ვკითხულობთ: იმპერიალისტურ გეგმებს ჩვენ ვუპირდაპირებთ სოციალისტურს პოლიტიკა სბალკანეთში: უნდა დაარსდეს ბალკანეთის რესპუბლიკური კავშირი, რომელიც შეაერთებს იქაურს სახელმწიფოებს შეერთებული შტატების დაგვარად. ბალკანეთის ახალი რესპუბლიკა საკმაოდ ძლიერი იქნება და შესძლებს, წინააღმდეგობა გაუწიოს რუსეთსაც, გერმანიასაც და ინგლისსაც. იგი აღარ იქნება სხვისი ლუკმა.

კონტრ-რევოლიუციის ბუდე.

„რაბ. გაზეტა" სწერს: გიორგის კავალერების სიტყვით, რომელთაც ინახულეს მუშათა და სალდათა დეპუტატების საბჭო, მოგილევი კონტრ-რევოლიუციონურ შეთქმულების ბუდედ გადაიქცა. მეამბოხე ოფიცრები რაზმავენ ძალებს, დასცინიან განთავისუფლებულ რუსეთს და ლაპარაკობენ: ახალი წესწყობილება მხოლოდ რამდენიმე კაცის საქმეა და ნიკოლოზი მალე დაიბრუნებს ტახტსო. გიორგის კავლერებმა ბევრი ფაქტი დაასახელეს თავის ნათქვამის დასამტკიცებლად. მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭოს შეუწყნარებლად მიაჩნია ასეთი მდგომარეობა და მოსთხოვა დროებითს მთავრობას, რომ დაუყოვნებლივ დაინიშნოს საგანგებო გამომძიებელი კომისია. მთავრობამ აღუთქვა საბჭოს, რომ მიიღებს ზომებს.

კადეტები და რესპუბლიკა.

კონსტიტუციონურ - დემოკრატების ცენტრალურმა კომიტეტმა გადასწყვიტა, მხარი დაუჭიროს რესპუბლიკის დაწესებას.

სიტყვის თავისუფლება

პეტროგრადში ტრამვაის ვაგონში ერთი ჯარის-კაცი ჰკიცხავდა მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭოს „ნოვოე ვრემიას" გამოცემის აკრძალვის გამო და ამბობდა, საბჭოს ნება არა აქვს აკრძალოს ეს თუ ის გაზეთი. ჯარის-კაცი სამართალში მისცეს, მთავრობის წინააღმდეგ ლაპარაკობსო. დროებითმა სასამართლომ, რომელნიც შეადგენდნენ მომრიგებელი მოსამართლე, ერთი მუშა და ერთიც სალდათი, სრულიად უდანაშაულოდ იცვნეს ჯარის-კაცი.

ომის დღიური

ფრანგებისა და ინგლისელების შეტევამ ამ ჟამად გარკვეული სახე მიიღო და მისი მთავარი ტენდენცია გამოაშკარავდა. მოკავშირეთა ჯარი მედგარისა და ხანგრძლივ შეტევის შემდეგ მიადგა ვიწრო გასავალს სომასა და უაზას შუა, ე. ი. სენ-კანტენის და გიზის ხაზს. ამ მიმართულებით მოკავშირეთა ჯარი პირდაპირ ბელგიაში შეიჭრება. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა: თუ მოკავშირეთა ჯარი განაგრძობს შემდეგ მდ. სამბის [illegible] სვლას, მაშინ პიკარდიაში მომ-

---

ილია ჭავჭავაძე და არჩილ ჯორჯაძე

ჯერ გათიშვა, შემდეგ შეკავშირება,
ჯერ ანალიზი, შემდეგ სინთეზი.
გოეთე.

(გაგრძელება *)

თვით ამ განზრახულ წერილების ტენდენცია, ხასიათი ნებას არ მაძლევს ილია ჭავჭავაძეს ხელოვნურის თვალსაზრისით შევეხო. ამ თემაზე სულ სხვა დროს მსურს მკითხველებს ვებაასო.

ამ შემთხვევაში, ჩემი კვლევის ობიექტია ილია ჭავჭავაძე პუბლიცისტი, ილია ჭავჭავაძე პირველი პიონერი ქართული საღი ნაციონალიზმისა,— პირველი მენერგე ეროვნულ იდეებისა.

მინდა გავახსენო მკითხველს ჯერ კიდევ ჩემ წერილებში „ქართველობა და უცხოეთის გენიაში" (იხ. „სახალხო ფურცელი" 810—12 ნომერი) ვამბობდი: მეცხრამეტე საუკუნე ნაციონალიზმის საუკუნე იყო დასავლეთ ევროპიელ ერთა ცხოვრებაში-მეთქი. მართლაც და ამ დრომდის პირწმინდა ნაციონალიზმს, ძლიერსა და მკაფიოდ გამოთქმულ ეროვნულ ტენდენციებს ადგილი არა ჰქონია დასავლეთ ევროპიელ ერთა ცხოვრებაში. არა მარტო ნაციონალიზმს, თვით სახე გამოჩენილ პატრიოტიზმსაც ვერ ვამჩნევთ ამ საუკუნემდის.

მართალია, ჩემ მიერ ეგზომ კატეგორიულად გადასროლილი დებულება არღვევს კიდეც იმ ხასიათს, რომელიც ჩემს ნაწერებს მინდა მივცე, იგი არღვევს მათ პრობლემატიურობას, მაგრამ ზემოთ ნახსენებ დებულების კონსტანციისათვის თვალს გადავავლებ მწუხრის ქვეყნის ეროვნებათა ცხოვრებას.

ყველასთვის ცხადია რომ ძველი რომი, ეს ერთი იმ ფუძეთაგანი იყო, რომელიც დასავლეთ ევროპიელ ერების ცხოვრების საძირკველს შეადგენდა, სრულიად ანტი ნაციონალურ პრინციპებზე იყო ნაშენი. ანტი ნაციონალური, ქაოტიური სახე და ელფერი ედვა რომაელებს და მათ კულტურულ ანდერძს. კიდევ შორს წავიდეთ: ძველი ელადა არც კი იცნობდა ნაციონალურ, ეროვნულ იდეებს იმ სახით, როგორათაც ჩვენ ვგულისხმობთ, მართალია ძველი ელლინისთვის სიტყვა „ბარბაროს" ერთგვარი მაგიური პაროლი იყო ელინურისა და არა ელინურის გასათიშავად, გამოსაცნობად გამოგონილი, მაგრამ შეიძლება თამამად ითქვას, რომ ჩვენი „სასკოლო სიბრძნე", რაზედაც მთელი პოპულიარული, იაფფასიან შინაარსის ისტორიებია დამყარებული, ძლიერ სცდება, როცა ძველ ბერძნებს როგორც დიდ პატრიოტებსა ჰგულისხმობს. ძველი ელლინი ძლიერ ადრე ურიგდებოდა თავის მიწა-წყლის, თავის მამულის სიყვარულს სავაჭრო ინტერესებზე გარდახურდავებას. ამითაც აიხსნება ის გარემოება, რომ მთელი მცირე აზიის ნაპირები და ეგეის ზღვის კუნძულები ბერძნულ ემიგრაციით იყო დასახლებული თავის დროს, ამ შემთხვევაში ელლინი რომაელებზე არა ნაკლებ აპატრიოტიზმით დახასიათდების.

მოვუბრუნდეთ ისე რომს. პაპიზმი ხომ მრავალი საუკუნის განმავლობაში ჰხუთავდა კათოლიკე დასავლეთ ევროპიელ ერთა: ფრანგების, სამხრეთ გერმანელთა კულტურულ ენერგიას. ამის მიზეზი თვით ხსენებულ ერთა ეროვნულ თვითცნობიერობის სისხლ ნაკლუანებას უდევს ბრალი.

ძველ რომის ცხოვრების არტერიებში ინტერნაციონალური სისხლი სჩქეფდა, დასავლეთ ევროპიელთა ენერგია საშუალო საუკუნეში რელიგიურ, ქრისტიანულ პრობლემათა გადაწყვეტასა ჰქონდა შეწირული. ქრისტიანობა იყო უძლიერესი ბერკეტი საშუალო საუკუნის ინტერნაციონალურ ცხოვრების მექანიზმისა... რელიგია ქრისტიანული თვით კოსმოპოლიტურ ფუძეზე აღმოცენებული ანტი-ნაციონალური მოვლენა იყო. **ნაზარეველი მარქსზე უფრო ძლევამოსილი და ძალოვანი კოსმოპოლიტია.** მართალია, რენესანსი ერთი მთავარი მანიფესტაციათაგანია, რომელიც იტალიის, ნიდერლანდის და გერმანელ ერს გამოუჩენია თავისი ნაციონალური სულის გამოსამჟღავნებლად. მაგრამ მიუხედავად ამისა კათოლიციზმის ოპეკა მეთვრამეტე საუკუნის გასვლამდის ლოდად აწვა სამხრეთ გერმანიისა, ავსტრიის და პოლაკთა ერს.

რაღა შორს მივალთ, თვით ჟენეველი მოქალაქე (ვგულისხმობ ჟან ჟაკ რუსსოს). ერთი უძლიერესი ბურჯთაგანი იყო კოსმოპოლიტიზმისა მე-17 და მე-18 საუკუნეში ჩაეყარა საძირკველი მეცხრამეტე საუკუნის—ნაციონალიზმის საუკუნის ცისკარს.

დიდი გონებრივი რევოლიუციის ყუმბარები გადისროლეს დასავლეთ ევროპიელ ერთა ძველი ცხოვრების, ქრისტიანული კულტურის ასაფეთქებლად; იშვა სრულიად ახალი კრიტერიუმი მსოფლიოს შეცნობისა, მთლად შეირყა და შეიცვალა ადამიანების აზროვნების ჰორიზონტი. ვილერის, დალამბერის, სიმონ სტევინის, გალილეის, ლავუაზიეს, ვოლტეს და გალვანის, ნიუტონისა და დეკარტის, სვედენბორგის და ლეონარდო დავინჩის [1] სასწაულებრივ აღმოჩენათა შემდეგ. იშვა ახალი Homo Sapiles, რომელთაც ძველი ელლინი ან რომაელი, გიოთეს დიდი სიტყვის არ იყოს, მხოლოდ გულუბრყვილო ბალღად თუ მოეჩვენება. ამ ახალ ჰორიზონტებმა, ამ ახალ, ჯერ არ ხმარებულმა იდეებმა, როგორც მოგახსენეთ, რადიკალურად შესცვალეს ადამიანის კოსმოგონია; მათ საბოლოოდ გასწმინდეს ადამიანის გონება ხავსმოდებულ ქრისტიანულ სქოლასტიკისაგან; მათ შემოაწყვიტეს ევროპის ერებს (ისპანიის გარდა) ის არტახები, რომელნიც წინ ეღობებოდნენ თავისუფალ ზრდასა და ევოლიუციასა; მათ დაამხეს ქრისტიანიზმი, ეს უძლიერესი ბურჯი კოსმოპოლიტურ იდეებისა.

ქრისტიანობის —კოსმოპოლიტიზმის დამხობამ ყოველ ერს უკარნახა თავისებურ გზით სვლა, ხალხებს შეაგნებია, რომ ყოველ გზას ბოლოს და ბოლოს ჰადესამდი მიჰყავდა ისინი.

რაიცა შეეხება ჩვენ ისტორიულ ცხოვრებას, თუ ქართველობა უცხო თესლში არ გაითქვიფა მეცხრამეტე საუკუნემდის, თუ ქართველთა თესლი არა ქართველ რასსათა წიაღში არ გაითქვიფა, ამის მიზეზი ქართველი ერის რასიული, იდიომური და ეთნიური ობლობა *) გახლავთ და არა quasi ეროვნული თვითცნობიერება, რომელიც, ზოგიერთ მკვლევართა აზრით, ძველ ქართველებს უნდა ჰქონოდათ.

ქართული რასის გაუთქვეფლად შენახვის ერთი ხელშემწყობ მიზეზთაგანი ჩვენი გეოგრაფიული მდგომარეობაც გახლავთ. ძლიერ არმენიზმის ტალღებით მცირე აზიიდან გამოძევებული ქართველობა ზურგით კავკასიონს მიეყრდნო და ისეთ ორწოხებში შეიფარა თავი, სადაც უცხო თესლის შემოჭრა არც ისე ადვილი იყო. ჩრდილოეთით არა გვყოლია ისეთი თემთა მასსები, რომელთა რიცხვობრივი უპირატესობით ჩვენი შერევის ან გათქვეფის შესაძლებლობა ანგარიშ გასაწევი ყოფილიყო. მეორე არ მეგულება ისეთი ერი, რომელსაც ეგზომ სუსტი ეროვნული ორიენტაცია ჰქონოდა წარსულში. თვით საბედისწერო გეოგრაფიული დაყოფვა და ბუნების მრავალფერიანობა, ან აქიდან წარმოშობილი ტემპერამენტის დიფერენციაცია, დიდად აფერხებდა ჩვენი პროვინციების ცენტრალიზაციასა და მცნების „ქართველობის" ფესვის გამაგრების საქმეს.

ლიხის მთა ის ფატალური ზღუდე იყო ჩვენ ეროვნულ ცხოვრებაში, რომელმაც სასწორზე დააყენა ქართველობის მეტროპოლის მცხეთა-ტფილისის ბედი, და მთელ საქართველოს ისტორიულ ცხოვრების არტერიების ტფილისში ერთ ფოკუსში თავმოყრას, კონცენტრაციას ხელი შეუშალა. ლიხის მთა აორებდა მთლიან საქართველოს და ამიტომაც იყო, რომ ტფილისი და ქუთაისი ეგზომ ხშირად ეცილებოდნენ ურთიერთს და ხან ერთი იყო საქართველოს სატახტო ქალაქად ხან მეორე, და უფრო ხშირად კი, ერთიცა და მეორეც.

ამგვარად ნაციონალური, ეროვნული თვითცნობიერობა, მტკიცე და ძლიერი ეროვნული ორიენტაციას ვეღა ჩვენ ისტორიულ ცხოვრებაში ვამჩნევთ. და თუ ქართველობა მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში სულიერად გაერთიანდა, ამის მიზეზი მარტო ის პოლიტიკური დამბლა როდი გახლავთ, რომელიც 1801 წელს დაატყდა მთელ ქართველობას თავს, არამედ თვით საუკუნემ მოიტანა ესა, „ნაციონალიზმის საუკუნემ" მე-XIX საუკუნემ ვინაიდან იდეები, ბაქტერიებსა ჰგავს, ჰაერს, ქარს რომ გადააქვს ერთი პოლიუსიდან მეორეზე, ერთი ექსტრემიდან მეორეზე, ერთი ქვეყნიდან მეორეზე.

ილია ჭავჭავაძე ამ მხრით პირველი პიონერი გახლავთ ქართველობის ეროვნულ თვითგაცნობიერობისა. იგი თავად ბისმარკს, გერმანიის რკინის კანცლერს, მომაგონებს, სისხლითა და რკინით რომ უპირებდა გერმანელ ეროვნულ ცხოვრების ფუძის შეკოვას.

კ. აბაშისპირელი.

(შემდეგი იქნება)

---

*) იხ. „სახ. ფურც." № 824.

[1] 1915 წელს ქრისტეშობისთვეს ნორვეგიის დედოფალმა გამოაცემინა საკუთარის ხარჯით ლეონარდო დავინჩის მეცნიერული გამოკვლევანი, ცნობილია ლ. დავინჩი არა მარტო გენიალური მხატვარი იყო, დიდი ინჟინერი, მეცნიერი. მის მეცნიერულ თხზულებებში დღევანდელ წყალქვეშა ნავის პროექტიც ურევია. კ. ა.

*) ამ აზრის საილუსტრაციოდ შემდეგ მაგალითს მოვიყვან: სერბია ან მონტენეგრო, ეს უსუსური და უმნიშვნელო ელემენტები, ოსმალელ მეზობლებმა ვერ გათქვიფეს. ყოფილიყვნენ ეს მცირე რიცხოვანი ეთნიური ერთეულები პოლონელ ან რუსეთის გვერდით, მათი ასიმილაციის პროცესი დღეს უკვე დიდი ხნის „გათავებული ამბავი" იქნებოდა.

ქმედი გერმანელების ჯარი სახიფათო მდგომარეობაში ჩავარდება, თუ დროზე არ დასტოვა თავისი ეხლანდელი ბრძოლის ხაზი. ცხადია ჩვენთვის ამიტომ, რომ დღე-დღეზე მოსალოდნელია მდ. სომასა და უაზას შუა რაიონში დიდი ბრძოლა. იმავე დროს გერმანელები დიდს მზადებაში არიან აღმოსავლეთის ასპარეზით. ომის კრიზისი გვიახლოვდება, გვიახლოვდება აგრეთვე რუსეთის რევოლიუციის საბოლოო გამარჯვება.

ი. გე—გა—ლი.

ომის დეპეშები

მთავარ შტაბის ცნობები.

პეტროგრადი, 20 მარტი. ოფიციალური. რუსეთ-გერმანიისა და ავსტრიის ბრძოლის პირი. სროლა და მზვერავთა თარეშია. ბრ ქეზანის ჩრდილო-აღმოსავლეთით, სოფ. კონიუხაში, ჩვენმა არტილერიამ სროლით გამოიწვია ცეცხლი და აფეთქება ალბად ყუმბარების სასწყობებისა.

რუმინიის ბრძოლის პირი. მდ. უსას სამხრეთით მოპირდაპირე შეეცადა ჩვენი პოზიციის დაპყრობას, მაგრამ უკუ ვაქციეთ. დანარჩენ ბრძოლის პირით სროლა და მზვერავთა თარეშია.

კავკასიის ბრძოლის პირი. პენჯვინის მიმართულებით, სოფ. განგაჯის რაიონში, ბანას 15 ვერსის სამხრეთით, ჩვენმა ჯარმა დაიპყრა ბაიატალი, რაიტახი და სერგუდი, სდევნის ოსმალებს, რომელნიც კასრიშირინისაკენ იხევენ.

შავი ზღვა. ჩვენმა ნაღმოსანმა ანატოლიის ნაპირებთან ჩასძირა ოსმალების ორი დატვირთული დიდი ნავი და ზარბაზნებით დაანგრია კერასუნდში ჰაეროპლანების ორი ანგარი.

დასავლეთის ასპარეზი.

პარიზი, 19 მარტი. ცნობა საღამოთი. სომაზე და უაზაზე არტილერიის ბრძოლაა დრო-გამოშვებით და თოფის ძლიერი სროლაა. მოწინავე პოზიციებზე, აილეტის სამხრეთით გავფანტეთ მოპირდაპირის მზვერავები და ტყვეები წამოვასხით. მედგარის იერიშებით დავიპყარით აილტიდან ლაკამდე თხრილები და გამაგრებული პუნქტები. ნევილ-სიურ-მარჟივალის აღმოსავლეთით, მიუხედავად მედგარის წინააღმდეგობისა, მოპირდაპირე უკუ ვაქციეთ დიდის ზარალით ვოაილონისა და ლაფლოს გადასავალამდე; დატყვევებულია 108 კაცი, მათ შორის ორი ოფიცერი; წავართვით 4 ტყვიის-მტყორცნელი, შამპანში არტილერია ორივ მხრით მხნედ მოქმედობს.

ამიერ-კავკასიის ალმასრულებელ კომიტეტთა წარმომადგენლების ყრილობა

18 მარტი.

კრება იწყებს მორიგ საკითხთა განხილვას.

ტ. კომიტეტი.

ა. ხატისოვი მოხსენებას კითხულობს ტფილისის ალმასრულებელ კომიტეტის შემადგენლობის შესახებ და სცდილობს გამოარკვიოს მომავალი ფუნქციები ამ კომიტეტისა. იმისი აზრით, ეს კომიტეტი უნდა გადაიქცეს იმ ცენტრალურ ორგანოდ, რომელიც მთელს მხარეს მიაწვდის ცნობებს დღევანდელ მომენტის შესახებ, დაუგზავნის მთავრობის განკარგულებებს და საერთოდ იკისრებს ცენტრალურ ორგანოს მოქმედების საინფორმაციო ნაწილის გაძღოლას. ამავე კომიტეტის საშუალებითვე ამიერ-კავკასიის კომისარიატი შეჰკრებს ყველა საჭირო მასალას და ეს კომიტეტი ერთგვარად გახდება საშუამავლო ორგანოდ ამიერ-კავკასიის კომისარიატსა და სხვა და სხვა ალმასრულებელ კომიტეტს შორის. ეს გარემოება, მომხსენებლის აზრით, ხელს არ შეუშლის, რომ ამიერ-კავკასიის კომისარიატის უფლება და ფუნქციები ხელშეუხებელი დარჩეს, პირიქით ხელს შეუწყობს კომისარიატს თავის საქმის გაძღოლაში.

ფ. მახარაძე. ამიერ-კავკასიის კომიტეტთა გასაერთიანებლად პეტროგრადიდან უკვე ჩამოსულია კომისარიატი. ახალ ორგანოს შექმნა სასურველი არ არის. ასე თუ ისე, საჭიროა უპირველესად კომიტეტთა წარმომადგენლების მოხსენებაა მოვისმინოთ და შემდეგ გადავწყვიტოთ ბ-ნ ხატისოვის მიერ აღძრული საკითხი.

ბ-ნი დანილოვი წინააღმდეგია ხატისოვის წინადადებისა და ამბობს, ამიერ-კავკასიის უმაღლეს მართველად კომისარიატი უკვე არსებობსო.

ბ-ნი სიშჩენკო საჭიროდ სთვლის, კრებამ ჯერ ის გამოარკვიოს, რა უფლებები აქვს მინიჭებული ამიერ-კავკასიის კომისარიატს.

მ. ი. პაპაჯანოვი აცხადებს: განსაკუთრებული დავალება ჩვენ არაფერი გვაქვს, ხოლო ჩვენი უფლებანი ფართო და შეუზღუდველია. ჩვენ ვმოქმედობთ ახალ მთავრობის სახელით და ისეთივე უფლებები გვაქვს, როგორიც ახალ მთავრობას.

ე. გეგეჭკორი თხოულობს, ხატისოვის წინადადების განხილვამდე კრებამ მოისმინოს სხვა და სხვა კომიტეტის წარმომადგენელთა მოხსენებანი და წარმოადგინოს სურათი ამიერ-კავკასიის ცხოვრებისა.

კრება მას ეთანხმება.

კრება ისმენს მოხსენებებს ბაქოს გუბერნიისა, განჯის გუბერნიისა და დაღესტნის ოლქის წარმომადგენლებისას. თვითოეულ გუბერნიიდან და ოლქიდან რამდენიმე წარმომადგენელი ლაპარაკობს.

მათის მოხსენებიდან ირკვევა, რომ ყველგან აღტაცებით შეხვედრია ხალხი ახალ მთავრობის დამყარებას, შეუდგენიათ კომიტეტები და დიდის სიფრთხილით და გონიერებით მართავენ შინაურ საქმეებს. კომიტეტების მოქმედებას აფერხებს მხოლოდ ის გარემოება, რომ არ იციან, რა უფლებები აქვთ მათ და როგორ უნდა მოიქცნენ ზოგიერთს შემთხვევებში: თვითვე უნდა გადასწყვიტონ ყველა ადგილობრივი საკითხი, თუ ვისისამე განკარგულებას უნდა უცადონ. მოხსენებებიდანვე ირკვევა, რომ ყველგან ყაჩაღობა მოსპობილა და ეროვნული შუღლი გამქრალა.

აღსანიშნავია დაღესტნის ოლქის წარმომადგენლის მოხსენება, რომელიც ამ ოლქის განსაკუთრებულ მდგომარეობას აგვიწერს. წარმომადგენელი ამბობს, რომ დაღესტანში ჯერ კიდევ შენახულ სამხედრო-სახალხო მართვა-გამგეობლობისა და სასამართლოს წინააღმდეგ ხალხი დიდად აღელვებულია და იმისი გაუქმება გადასწყვიტაო.

მ. ი. პაპაჯანოვი ურჩევს: იქნება შესაძლებელი იყოს, დაღესტნის წარმომადგენლებმა ამის შესახებ ცალკე მოგვილაპარაკონ კომისარებს, რათა საჭირო ცვლილებანი საკანონმდებლო გზით განხორციელდესო.

წარმომადგენელი სიხარულს აცხადებს მ. პაპაჯანოვის წინადადების გამო.

ამის შემდეგ კრება ადგენს, შესწყვიტოს მოსმენა მოხსენებისა, რადგანაც ყველა თითქმის ერთსა და იმავე სურათს აღწერს და შეუდგეს საორგანიზაციო საკითხების განხილვას.

ადგილობრივი ორგანიზაციები.

ამ თემაზე მოხსენებას კითხულობს სერგო ჯაფარიძე. იმის აზრით, ადგილობრივი ორგანიზაციები უნდა მოეწყოს ასე: ყოველი სოფელი ირჩევს საყოველთაო, თანასწორ, პირდაპირ და ფარულ კენჭის ყრით კომიტეტს. არჩევაში მონაწილეობას იღებს ყველა. განურჩევლად სქესისა. ამ კომიტეტების რწმუნებული ირჩევენ სარაიონო კომიტეტებს, რომელნიც თავიანთის წარმომადგენლების საშუალებით სამაზრო კომიტეტებს ირჩევენ. სამაზრო კომიტეტების წარმომადგენლები კი აირჩევენ საგუბერნიო კომიტეტებს.

უკვე გვიან არის—ნაშუაღამევის პირველი საათია—ამიტომ კრება სწყდება და გაგრძელება ინიშნება მეორე დღისთვის.

19 მარტი.

ყრილობის გაგრძელება იწყება ნაშუადღევის ორს საათზე და კამათი იმართება ხატისოვის მიერ წამოყენებულ საკითხისა და სერგო ჯაფარიძის მოხსენების გამო. ირკვევა, რომ თითქმის ყველა წინააღმდეგია ხატისოვის წინადადებისა ტფ. ალმასრულებელ კომიტეტის ცენტრალურ ორგანოდ გადაქცევის შესახებ, ხოლო ს. ჯაფარიძის დებულებებს დამსწრენი ეთანხმებიან.

დასასრულ კრება იღებს იმ რეზოლუციას, რომელიც გუშინდელს ნომერში უკვე დაბეჭდილი გვქონდა.

საღამოს კრებაზე ნოე ჟორდანია ჰკითხულობს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „დღევანდელი ტაქტიკა“.

რეზოლუცია ამ მოხსენების გამო უკვე გვქონდა გუშინდელს ნომერში დაბეჭდილი.

თანამედროვე მდგომარეობა

7

ქართველების მიტინგი და კომისარი ჯაფაროვი.

ს.-ფედერალისტების მიერ გამართულმა მიტინგმა 19 მარტს ეროვნული მიტინგის ხასიათი მიიღო. ამ მიტინგით ქართველობამ გამოხატა თავისი გულის ნადები, აქ ჩვენ დავინახეთ წყურვილი ერისა, იმისი ნებისყოფა.

განა ბუნებრივი არ არის, რომ ქართველობას განსაკუთრებით უხარიან რუსეთის რევოლიუცია? ჩვენს საზოგადოებაში აქა-იქ გაისმა ხმა, რომ ქართველ „ნაციონალისტებს“ არაფრად მიაჩნიათ რევოლიუცია. ქართველ ნაციონალისტებს დაქსაქსვა შეაქვთ რევოლიუციონურ ძალებშიო.

19 მარტს ჩვენმა მიტინგმა დაგვანახა, რომ ასეთი ხმა არა თუ ყოვლად უმართებულოა, ის ნამდვილი ცილისწამებაა.

ფედერალისტების მიტინგზე გარკვეული იქმნა, რომ რუსეთის ეხლანდელი რევოლიუცია განსაკუთრებით ძვირფასია ქართველი ერისათვის, რომ რუსეთის არც ერთ ერს არ შეუძლიან რევოლიუცია ისე იდღესასწაულოს, როგორც ქართველობამ.

მართლაც, დავაკვირდეთ ჩვენს მდგომარეობას და მყისვე დავინახავთ, რომ ეს სწორედ ასეა. რუსეთის ხალხი დახავსებულ თვითმპყრობელობისაგან იტანდა ათასხაირ შევიწროებას, რუსეთი მოუწყობელი იყო და მთელ თავის მოუწესრიგებლობით სისხლს სწოვდა ხალხსა. მაგრამ ქართველობა რუსის ხალხზე უფრო იტანჯებოდა, თვითმპყრობელობა რუსებზე უფრო მეტად აწვალებდა ქართველობას და საქართველოში ჰქმნიდა ცხოვრების ჯოჯოხეთურ პირობებს. დღევანდელ საქართველოს ისიც არ ჰქონდა მიღებული რაც გაჩნდა რუსის ხალხს. ჩვენმა ხალხმა არ იცის რა არის ერობა, არ გვაქვს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, არ გვაქვს უმაღლესი სასწავლებელი, დღესაც არსებობს ბატონყმური ნაშთები—ხიზნობა, ხე-ტყის სერვიტუტი, გლეხები (დროებით ვალდებულნი) ეხლაც იხდიან საბატონო გადასახადს... ეს სიდუხჭირე თვითმპყრობელობამ მოსპო რუსეთში, მაგრამ შეინახა საქართველოში. ამას ემატებოდა რუსეთის ნაციონალისტური პოლიტიკა, ხაზინის მიერ ქართველთა მამულის მითვისება, მშობლიური ენის შევიწროება, ქართველობის შორის ასპარეზის შეზღუდვა სამშობლოში. განა ყოველივე ეს უფრო აუტანელად არ ხდიდა რუსეთის თვითმპყრობელობას ქართველ ერისათვის?

დიახ, რამდენადაც უფრო გვტანჯავდა რუსეთი, იმდენადვე უფრო გაგვიხარდა თვითმპყრობელობის დამხობა, იმდენად უფრო ღრმა და გულწრფელად გავიძახით—„გაუმარჯოს რუსეთის რევოლიუციას“!

დაჩაგრულ და შევიწროებულ ერს არ შეუძლია არ უხაროდეს მაჯლაჯუნა მტერის დამხობა, მხოლოდ ცილისმწამებელთ, ერის მოძულეთ, შეუძლიათ ერს დასწამონ, თითქოს ის რევოლიუციას აოად აგდებდეს.

ფედერალისტების მიტინგი გამოხატავდა ერის ასეთ მდგომარეობას და ძლევთრად გაიძახოდა:—„გაუმარჯოს რევოლიუციას“! ფედერალისტების მიტინგი განიცდიდა გავლენის, მნიშვნელობას ერისათვის რევოლიუციის და განსაკუთრებით მოითხოვდა ბრძოლას რეაქციის და კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ.

„ძირს რეაქცია და კონტრ-რევოლიუციის წყლილნი!“—გუგუნებდა ფედერალისტთა მიტინგი.

უნდა განმტკიცდეს რევოლიუცია. რევოლიუციის გაძლიერებისათვის საჭიროა ერის, რაც შეიძლება, მეტი ნაწილის გარევოლიუციონერება, რაც შეიძლება მეტი ინტერესის დაკმაყოფილება. უნდა მოისპოს უკმაყოფილობა ყოველგვარი და პირველყოვლისა უკმაყოფილობა ეროვნული. რუსეთის რევოლიუციონურმა მთავრობამ განაცხადა რომ, ის დამფუძნებელ კრებაზე ეროვნულ საკითხს სათანადო ადგილს დაუთმობს. ამას მთავრობა იმიტომ კი არ აცხადებს, თითქოს ჰსურდეს მიფუჩეჩება ეროვნულ საკითხისა, არა, ეხლანდელ მთავრობას საზოგადოდ არ შეუძლია ძირითადი საკითხების გადაწყვეტა დამფუძნებელ კრების დაუკითხავად. მაშასადამე, ჩვენი მოვალეობაა ეროვნულ საკითხის გადაწყვეტის საბოლოო იმედი დავამყაროთ განთავისუფლებულ რუსეთის დამფუძნებელ კრებაზე.

რა უნდა ვქმნათ იმ დრომდე? დავივიწყოთ ეროვნული საქმე და ამ საქმისათვის ბრძოლა?—არას შემთხვევაში. ჩვენ ეხლავე უნდა ვიმუშაოთ, ეხლავე უნდა განვავითაროთ ბრძოლა, ეროვნული საკითხი გარდავაქციოთ ჩვენი პოლიტიკისა და ხალხის ყურადღების საგნად. მაგრამ საკითხის ასე დაყენება არ ნიშნავს რევოლიუციაში ახალ რევოლიუციონურ კოცონის ანთებას. არ ნიშნავს რევოლიუციონურის გზით ეროვნულ-სახელმწიფოებრივ უფლების აღდგენას. ვინც ამ რიგად გაიგო ჩვენი აზრი, ვისაც ჰგონია, რომ ჩვენ ძალდატანებით ვაპირებდეთ „რესტავრაციას“ ქართულის უფლებისას, მას ჩვენი აზრი ყალბად გაუგია. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რევოლიუციონური რუსეთი ისეთ მდგომარეობაში არ ჩაგვაყენებს, რომ ქართველმა ერმა ერთად ერთი ხსნა აჯანყებაში დაინახოს. არა, ასეთ განწყობილებას არც წარმოვიდგენთ და არც გვინდა წარმოვიდგინოთ.

„ფიქრის გორის მიტინგის უმცირესი ნაწილი მიესალმა სასახლეში კავკასიის კომისარიატს, სადაც კომისარმა ჯაფაროვმა მიტინგს სალამი უძღვნა და და დასძინა: მე მესმის რა აწუხებს და რაცა სურს ქართველ ერს; მე ვიცი ქართველობის სამართლიანი მოთხოვნილება და ღრმად მრწამს, რესპუბლიკანური რუსეთის დედა—დამფუძნებელი კრება—სახელმწიფო კანონების ძალით აღასრულებს ქართველთა დიდი ხნის ნატვრას. ქართველობამ მხოლოდ დამფუძნებელ კრების იმედი უნდა იქონიოსო.

ამ შემთხვევაში ჩვენც ბ-ნ ჯაფაროვსავით ვმსჯელობთ, სხვანაირ მსჯელობა არ გვიწარმოებია და გონებაშიაც არ წარმოგვიდგენია. პირადად მე ბ-ნ ჯაფაროვის სიტყვა ისე გავიგე, თითქოს იმისთვის ვისმე ეთქვას: ქართველობა დამფუძნებელ კრებას ყურადღებას არ აქცევს და დღეს უნდა ავტონომიის შემოღებაო. აქ მცირეოდენი, მაგრამ მნიშვნელოვანი განმარტება გვესაჭიროება. ჩვენ ბევრჯერ გვითქვამს, ვამბობთ დაჟინებით:—ან ეხლა, ან არასოდეს! დიახ, ჩვენ ამ რევოლიუციისაგან მოველით მშვიდობიანად და შეთანხმებით ჩვენი ნატვრის განხორციელებას. თუ რევოლიუციამ არ დააკმაყოფილა ჩვენი ერის სამართლიანი მოთხოვნილება, რომლის სათავეში იმყოფებიან დინასტიური ყაიდის ხალხი, ჩვენ იმედი არ გვექნება, რომ რევოლიუციის შემდეგ სტატიური ნებისყოფის ხალხმა ყურადღება მოგვაქციოს.

— ან ეხლა, ან არასოდეს! ეს იმას ნიშნავს, რომ დღეიდანვე მოვემზადოთ ამ საქმეს და ხალხს დაწვრილებით გავაგებინოთ ეროვნულ საქმის შინაარსი. თუ ეხლავე არ შევუდექით ამ საქმისათვის რამდენიმე თვის შემდეგ მოწვეულ დამფუძნებელ კრებაზე რა გარკვეული გეგმა გვექნება? დამფუძნებელ კრებაზე ჩვენ გვინდა ვილაპარაკოთ არა მხოლოდ პარტიების სახელით. ერის ხმაა ჩვენთვის ძვირფასი და მიმზიდველი, თუ დღეიდანვე არ დავიწყეთ სამისო პროპაგანდა-აგიტაცია, ესე იგი საარჩევნო სამზადისი, როდისღა მოვასწრებთ ერის ხმის გაგებას და მოკრებას?

გვეუბნებიან, რომ ეროვნულ ლოზუნგებს ნუ წამოაყენებთო. ასეთ მოსაზრებას დავუჯერებდით, რომ ისინი საზოგადოდ ყოველგვარ ლოზუნგების წამოყენების წინააღმდეგნი იყვნენ. მაგრამ როცა რევოლიუციის ხანაში სხვა და სხვა ძალები აყენებენ თავისი მოწმიის ლოზუნგებს, რადგან უფლება აქვთ მათ დაგვიხშონ ჩვენი ლოზუნგის წამოყენება? თუ ჩვენ საბოლოო ბრძოლის წინა ხაზში ვიმყოფებით, მაშინ საჭიროა რევოლიუციონურ-პროგრესიულ ლოზუნგების არა დაგმობა, არამედ სიწრობა, ლოზუნგების გარკვევა, რომ პარტიულ-საზოგადოებრივ ბრძოლის წიაღში გამოიხატოს ერის თვით-გამორკვევა, იმისი ხმა.

ფედერალისტების მიტინგმა მოითხოვა ეროვნულ საკითხისათვის დაუყონებლივი მუშაობის გაჩაღება. ეს კულტურული მუშაობა აუცილებელი საჭიროებაა ქართველ ერისა და, ვინც ამას ეწინააღმდეგება, მას არა თუ არ უნდა ქართველობის კეთილდღეობა საზოგადოდ, არ უნდა კეთილდღეობა არც რევოლიუციისა და არც ერთ ერისა.

თედო ღლონტი.

ტფ. ქალაქის საბჭო.

20 მარტი.

კრება იწყება საღამოს ცხრის ნახევარზე ქალაქის მოურავის ა. ი. ხატისოვის თავმჯდომარეობით.

შეკითხვები.

ხმ. ევანგულოვი ეკითხება ქალაქის გამგეობას, როდის უნდა გადავიდეს მილიცია ქალაქის თვითმართველობის ხელში.

საბჭო საჭიროდ სცნობს, მილიცია ქალაქის თვითმართველობას დაექვემდებაროს და სურვილს გამოსთქვამს, ეს საქმე ჩქარა განხორციელდეს.

ხმ. ნეპრინცევი აღნიშნავს, რომ დროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ტრამვაის ვაგონებს, რომელიც დღითი დღე ზიანდება.

გამგეობის წევრი **ფ. ბარიათინსკი-დოლგორუკოვი** ადასტურებს, რომ მართლაც საშიში მდგომარეობა შეიქმნა იმის გამო, რომ ვაგონებს გარშემო აუარებელი ხალხი უხტება, განსაკუთრებით მხედრობა. ყოველ დღე 4—5 ვაგონი ზიანდება ისე, რომ სამუშაოდ უვარგისი ხდება. 100 ვაგონში ახლა მხოლოდ 78 ვაგონი მუშაობს. ამათაც ის ბედი მოელის, რაიც ხვდა დანარჩენს ვაგონებს. მხედრობას საგანგებო მოწოდებით მიმართეს და უკანასკნელ დღეებში თითქოს ისე მრავლად აღარ უხტებიან ვაგონებს გარშემო.

საბჭო ადგენს, კვლავ სთხოვოს მხედრობას, რომ ვაგონებს ნაპირებზე აღარ შეუხტეს.

ამის შემდეგ ქალაქის მოურავი კრებას მოუთხრობს დაწვრილებით, თუ რა გააკეთა და რა საკითხი როგორ გადასწყვიტა ამიერ-კავკასიის ალმასრულებელ კომიტეტთა წარმომადგენლების ყრილობამ.

ამიერ-კავკასიის კომისარები.

საბჭოს დარბაზში შემოდიან ამიერ-კავკასიის კომისარები: ვ. ა. ხარლამოვი, კიტა აბაშიძე, მ. ი. პაპაჯანოვი და მ. ი. ჯაფაროვი.

ხმოსნები, აგრეთვე მრავლად შეკრებილი გარეშე პირნი მათ დიდის აღტაცებით და „ვაშა“ ძახილით ეგებება.

კომისარებს გამგეობის წევრნი თავიანთ ადგილს უთმობენ.

ქალაქის მოურავი მხურვალე სიტყვით მიმართავს რევოლიუციის სამშობლოს პეტროგრადის წარმომადგენელთ და ქალაქის თვითმართველობის სახელით ყოველგვარ დახმარებას აღუთქვამს.

ხმოსანი გ. თუმანოვი მისალოც სიტყვაში, სხვათა შორის, აღნიშნავს, რომ ძველი მთავრობა ტფ. ქალაქის თვითმართველობას განსაკუთრებულის მძულვარებით ეპყრობოდაო.

ხმოსანი ვეხელოვზოროვი თავის სიტყვაში ხაზს უსვამს, რომ ყველანი მზად ვართ თქვენთან ერთად ვიმუშაოთო.

ხმოსანი შ. ალექსი-მესხიშვილი თავის ლამაზს სიტყვაში კომისარებს უსურვებს, ჩქარა და მტკიცედ შეასრულონ ის დიდი მისია, რომელიც მათ რუსეთის დიდმა რევოლიუციამ აკისრა. ხმოსანი ეხება ეროვნულ საკითხს, აღნიშნავს ამ საკითხის სამართლიანად და ჩქარა გადაწყვეტის საჭიროებას და დასასრულ ამბობს, რომ კავკასიის ძველი მმართველნი ეროვნებათა შორის მხოლოდ შურსა და მტრობას სთესავდნენო. ბ. მესხიშვილს მხურვალე ტაშით მიეგებნენ.

ვ. ა. ხარლამოვი მხურვალე მადლობას უხდის დამსწრეთ, რომელნიც მათ ასე ზეიმით შეხვდნენ და რომელნიც მზად არიან მათთან ერთად იმუშაონ რევოლიუციის ბოლომდე მისაყვანად. იგი, სხვათა შორის, ამბობს: სიამოვნებით ვეგებები ხმოსნის მესხიშვილის სიტყვებს და ბედნიერი ვიქნებოდი, თუ მისგან გამოთქმული სურვილები ჩქარა განხორციელდებაო. დასასრულ ვ. ა. ხარლამოვი ამბობს, ქალაქის თვითმართველობასთან მხურვალე სალამი დამაბარა დეპუტატმა ჩხეიძემ, რომელიც რუსეთის რევოლიუციას სათავეში უდგას და რომელსაც დიდი საისტორიო ღვაწლი მიუძღვის ამ ფრიად მნიშვნელოვან დროსაო.

საბჭო, გამგეობის წინადადებით, ერთხმად ადგენს, ტფილისის საპატიო მოქალაქედ აირჩიოს ტფ. ქალაქის საბჭოს ხმოსნად ნამყოფი დეპუტატი ნ. ჩხეიძე იმ საისტორიო ღვაწლისთვის, რომელიც დასდო რუსეთის დიდს რევოლიუციას.

ამის შემდეგ კომისარები საბჭოს დარბაზს სტოვებენ და საბჭო იწყებს მორიგ საკითხთა განხილვას.

ახალი ამბავი

◆ **ფარული საწყობი.** ტფ. მილიციის უფროსმა პოდპოლკოვნიკმა კოგანმა და მისმა თანაშემწემ ივ. კაჩუხოვმა დესიმოვოვის ქუჩაზე, ოგშეტოვის სახლში (№ 7), ფარული საწყობი აღმოაჩინა, სადაც იყო 187 კვერი შვეიცარიის ყველი, 158 გირვანქა კარაქი, მაწონი, არექანი და სხ.

◆ **აღმოაჩინეს** ამ დღეებში ბევრი გადამალული კვერცხი და წუმწუმა.

◆ **ღვინის მოვაჭრეთა კრებამ** 18 მარტს გაიმართა სახელოსნო კლუბის შენობაში. მღვინეებმა დაადგინეს: 1) ღვინო მილიციის უფროსის ნებართვითაც არ მისცენ ლაზარეთებსა და ეკლესიებს იმ დრომდე, ვიდრე ნებადართული არ იქნება საყოველთაო ვაჭრობა და 2) იშუამდგომლოს ტფ. ალმასრულებელ კომიტეტის წინაშე, რათა ღვინის ვაჭრობის საკითხი ჩქარა გადასწყვიტოს და ღვინის აქციზი შეამციროს.

◆ **გადამალული ფქვილი.** მეშვიდე უბნის მილიციის კომისარმა მეპურეს ოჰანეს ტარაიანცს 1,250 ფუთი გადამალული ფქვილი უპოვა.

◆ **გადამალული ხორცი.** ყასაბს დარჩო კოშკენოვს 5 ფუთი გადამალული ხორცი უპოვეს.

◆ **პუშკინის ბიბლიოთეკის** გამგე გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ ორშაბათს, 20 მარტს, ბიბლიოთეკაში იმიტომ არ იყო არც ერთი ტფილისური გაზეთი, რომ ორშაბათობით გაზეთი არ გამოდის და წინა დღის გაზეთები უკვე წაკითხული ჰქონდა ხალხს.

◆ **ერევნიდან** ტფ. ალმასრულებელ კომიტეტს ატყობინებენ, რომ იქ დაუპატიმრებიათ იქაურ ჟანდარმთა სამართველოს უფროსი პოლკოვნიკი ვასილიევი.

◆ **სოციალ-ფედერალისტ სტუდენტთა კრება.** დღეს 22 მარტს, საღამოს 6 საათზე, დანიშნულია მე-2 სოც.-ფედ. სტუდ. კრება (განურჩევლად სქესისა) გ. ნათაძის ბინაზე (ველიკოკნიაჟესკაია ქ. № 51). ამხანაგებს ვთხოვთ აუცილებლად დაესწრნენ.

◆ **მუშა ფარმაცევტთა საყურადღებოდ.** დროებითი გამგეობა მუშა ფარმაცევტთა კავშირისა ამით აცხადებს, რომ დღეს 22 მარტს მოხდება საზოგადო კრება ქალაქის სამართველოს დარბაზში. კრების მიზანია დელეგატების არჩევა მუშათა საბჭოში და გამგეობის ხელ-ახალი არჩევნები. იმედია ყველა ფარმაცევტი დაესწრება.

◆ **სააღდგომო საჩუქრები.** ამიერ-კავკასიის რკინის გზის მოსამსახურეთა სააღდგომო საჩუქრად გადადებული 325,000 მან. განაწილებულ იქმნა მოსამსახურეთა შორის [illegible] ჯამაგირების მიხედვით. საჩუქარი უდრის თვითეულ მოსამსახურის თვიურ ჯამაგირის 44,10%.

◆ **რვა საათის სამუშაო დღე.** რკინის გზათა მთავარ სამართველოს მოწერილობის თანახმად, ამიერ-კავკასიის რკინის გზის სახელოსნოებში 18 მარტიდან შემოღებულ იქმნა რვა საათის სამუშაო დღე.

◆ **„ნაკადული“.** რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალი „ნაკადული“-ს მორიგი ნომრები: მცირე-წლოვანთათვის და მოზრდილთათვის.

◆ **ლოლაშვილი.** ჯარის-კაცი სიმონ ლოლაშვილი მსახურობდა: Кавказская дѣйствующая армія, 1-ая стрѣлковая оренбургская дружина, 1-ая рота, 4-й взводъ. შვიდი თვეა იმისი არაფერი ვიცით. ამიტომ ვთხოვთ ყველას, ვინც კი იცის იმის შესახებ რამ გვაცნობონ შემდეგის მისამართით: Бодбисъ-хеви, сигнахскій уѣздъ, Малхазу Лолашвили, რისთვისაც დიდი მადლობელი ვიქნებით.

◆ **მასწავლებელთა ყრილობა.** 7 აპრილს ახალ კლუბის დარბაზში ტფ. გუბერნიის მასწავლებელთა კავშირის თაოსნობით გაიმართება კავშირის განყოფილებათა დელეგატების ყრილობა, რომლის განსახილველი საგნებიც შემდეგია: 1) დღევანდელი მომენტი და მასწავლებელნი, 2) მასწავლებელთა კავშირის ალმასრულებელ კომიტეტის არჩევა, 3) კავშირის წესდების პროექტი, 4) ადგილობრივ კომიტეტების დაარსების საკითხი და 5) სამოსწავლო ადმინისტრაციის გადაყენება თანამდებობიდან.

◆ **შეწირულება.** წარსულ თებერვალში გარდაცვლილ ბარბარე ვასილის ასულ თამამშევის შვილის-შვილებმა ქართულ საქველ-მოქმედო საზოგადოებას 1000 მან. შესწირეს განსვენებულის ხსოვნის აღსანიშნავად.

◆ **ჯარის-კაცთა დეპუტატთა საბჭოების წარმომადგენელთა ყრილობა** ტფილისში გაიმართება 26 მარტს.

რევოლიუცია მოსკოვში.

მოსკოვში მყოფნი ჩუმად ვიგებდით პეტროგრადის ამბებს.

27 თებერვალი იყო. მოსკოვის განთქმული ყინვები იდგა და ქალაქი თოვლით იყო დახურული. მისანდო-

კაიას ქუჩაზე მივდიოდი ჩემ ერთ ამხანაგ სტუდენტთან, რომ ვიღაცა ჩამოიჭრა თავპირის მტვრევით ტრამვაის ვაგონიდან და ჩემკენ გამოეშურა. ეს ჩემი კარგი ნაცნობი რუსი პეშა იყო. თვალებიდან სიხარულის ნაპერწკლები სცვიოდა და ალტაცებით მეუბნებოდა: სამოცი ფაბრიკა და ქარხანა შევაჩერეთო. მეც ვახარე, პეტროგრადში ჯარი გამოსულა წითელის ბაირაღით და დიდ ეპოქას ვუახლოვდებით-მეთქი, მაგრამ მან უფრო მეტი იცოდა თურმე ამ საქმისა და ბევრი რამ ახალი ცნობა გადმომცა, რაიც ხალხის სასარგებლოდ ლაპარაკობდა. რაღაც ახლო ნათესაობა ვიგრძენ ამ ჟამად ამ რუსთან, თითქო ჩვენ წინ ჩამოფარებული ფარდა, რომლის იქიდანაც ველაპარაკებოდით დღემდის ერთმანეთს, აიხადა და ვიცანით ნამდვილი ძმები; გულწრფელის ღიმილით, გულწრფელის სიხარულით უზიარებდით ერთმანეთს მომავალ წუთების სიდიადეს და ხელი-ხელ გადახვეულები განვაგრძობდით გზას. დიდის ალტაცებისა და მასლაათის შემდეგ ერთმანეთს გამოვემშვიდობეთ იმ იმედითა, რომ მეორე დღეს შევხვდებით წითელ მოედანზე ქალაქის საბჭოს კარებში, სადაც მიტინგი იყო დანიშნული გაფიცულ მუშებისა.

27 თებერვალსავე ჩვენს უნივერსიტეტში, საღამოს რვა საათზე, საჯაროდ წაიკითხეს ტელეგრამა პეტროგრადიდან მოსული: დაეცა ძველი მთავრობა, მინისტრები დაიჭირეს, პროტოპოპოვი სადღაც გაიქცა. ხელმწიფე ფრონტზეა, სამშაბათს ჩამოვაო. ამ ტელეგრამამ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია და ხანგრძლივ „ურას“ ძახილით შეხვდა სტუდენტობა. ვიღაცა შეხტა კათედრაზე სიტყვის სათქმელად, მაგრამ პროფესორმა გააფრთხილა, უნივერსიტეტის კარებში პოლიცია სდგას შეიარაღებულიო. ამ ჟამად მწყობრად დავიშალენით. ყველა პეტროგრადზე ლაპარაკობდა.

მეორე ღღეს მიტინგი იყო წითელ მოედანზე, საბჭოს კარებ წინ: სტუდენტები, მუშები, ჯარის კაცები, ოფიცრები მოუწოდებდნენ ხალხს შეიარაღებისათვის. მე გავიქეცი ჩემ დიასახლისთან, მისი ოთახის კედელს რო მისი ქმრისაგან ფრონტიდან მოტანილი ავსტრიული თოფი ამშვენებდა, [illegible] ჩამოვიღე, წავტაცე პატრონებიცა. შევიარაღდი და გამოველ ქუჩაში. გზაში შემხვდენ ჩემი შემამულე სტუდენტები, მათ კიდევ რომელიღაც იარაღის მაღაზია გაეტეხათ და შეიარაღებულნი მიისწრაფოდნენ წითელ მოედნისკენ. მათ შევუერთდი. მთელი ხალხი ცენტრში იყრიდა თავს, სადაც მიტინგი იყო. იქ მოდიოდნენ კაზარმებიდან გამოქცეული ჯარის კაცებიც, უერთდებოდნენ რევოლიუციონერებს ამხნევებდნენ ხალხს: წავალთ და ჩვენ ამხანაგებსაც აქ მოვიყვანთო. გაუძღვებოდნენ ჯარის კაცებს სტუდენტები და კაზარმებიდან ეძახდნენ ამხანაგებს, რადგანაც კაზარმის კარებში მთავრობა იდგა, თოფ-იარაღით ფანჯრებიდან ძვრებოდნენ ჯარის კაცები და მირბოდნენ ხალხთან შესაერთებლად; ჯერ თითო-თითო, მერე ჯგუფ-ჯგუფად და ბოლოს იგრიალა შეიარაღებულმა ჯარმა კაზარმებიდან წითელის მოედნისაკენ. გასწრა სტუდენტებისა და მოწინავე ჯარის კაცების აგიტაციამ! წითელ მოედანზე შეიტანეს ტყვიის მფრქვევლები, ზარბაზნები და სურსათი.

28 თებერვალმა მშვიდად ჩაიარა. ამ დღეს გაზეთები არ გამოსულა. ყველაფერი მიწყნარდა, როგორც მეხის ჩამოვარდნის წინა წუთები. პოლიციელებიც არსადა სჩანდნენ, ალბად სადმე ბჭობა ჰქონდათ არსებულ მდგომარეობის თაობაზე.

1 მარტი გათენდა და ხალხმა ისევ წითელ მოედნისაკენ იწყო დენა. გაზეთი კიდევ არ იყო. ეს სიჩუმე იმას ნიშნავდა, რომ დიდი ამბავი უნდა მომხდარიყო. აუარებელი ხალხით, იყო გაჭედილი ქუჩები და სულ პეტროგრადზე ლაპარაკობდენ. ამ დროს მოვიდა ხმა, არსენალი აიღეს მუშებმაო. კიდევ მოვიდა ხმა, ჯარს უბძანეს ესროლა ხალხისთვის, მაგრამ ჯარმა არ ესროლაო. ხალხი აღფრთოვანებული იყო. ქალაქის საბჭოს წინ წითელი დროშა ფრიალებდა, არსენალი ხალხის ხელში გადავიდა; ერთი „მანეჟი“-ღა დარჩა. შუადღისას მოვიდა მანეჟთან ჟანდარმების პოლკი და დაიწყო გულში ძგარა-ძგური. წითელი მოედნიდან, რომელიც მანეჟის პირდაპირ არის, მოვიდა დეპუტაცია ჟანდარმების პოლკთან, დაგვმორჩილდით უსისხლოთ, ტყუილად ნუ დაგვეხოცვინებითო. ჟანდარმების პოლკი დიდ უარზე იყო და ველოდით, ან ეხლა ასტყდება სროლა, ან ეხლაო. მაგრამ ისევ პეტროგრადმა გამოისყიდა თავისი სისხლით მოსკოვის თავისუფლება: მოფრინდა ტელეგრამა სემიონოვსკი და პრეობრაჟენსკი პოლკები ხალხს დამორჩილდაო და ცხვირ-ჩამოშვებულმა ჟანდარმთა პოლკმა დასთმო მანეჟი. ხალხში გაისმა სამხიარულო „ურა“. ხელად აფრიალეს მანეჟის კარებზეც წითელი დროშა და რიგ-რიგად იწყეს იქიდან გამოსვლა ავტომობილებმა, რომელთაც წითელი ბაირაღები ამშვენებდა. ქალაქის საბჭო, არსენალი, მანეჟი, ჯარი სულ ხალხს ხელში გადმოვიდა და რაღა იყო გასაკეთებელი? პოლიცია მიიმალა და იმათი მოძებნა, დატყვევება-ღა იყო საჭირო.

მეორე მარტს მთელი ქალაქი გარედ გამოვიდა. გაზეთებიც დაიბეჭდა. ყველაფერი გავიგეთ. საჩქაროდ დაიწყო რაზმები. ჩავსხდით დარაზმული ქართველებიც ერთ-ერთ საბარგულე ავტომობილში შეიარაღებულნი და ვეწვიეთ საპოლიციო განყოფილებებს. ყველა განყოფილებებიდან მოუდიოდათ ჯარის კაცებს, სტუდენტებს, ხალხს აუარებელი ჯაშუშები, პოლიციელები და ამწყვდევდნენ ქალაქის საბჭოს დარბაზში, სასტუმრო „მეტროპოლ“-ში და სხვა შენობებში.

გნეზდიკოვის შესახვევში, სადაც „გრადონაჩალნიკის“ სახლი იყო, ეგრედ წოდებული **Охранное отдѣленіе** (მაძებართა განყოფილება)—პოლიციის უმთავრესი ბუდე,—ამბავი მოვიდა, პოლიციელები და ჟანდარმები ჩასაფრებულან და ხალხს ესვრიანო. ჩვენ გავიქეცით, მაგრამ მანამ მივიდოდით ჯარს იარაღი აეყარა უფრითათვის. ხოლო მაძებარ განყოფილებისთვის ცეცხლი მიეცათ პოლიციელებს, რათა დამწვარიყო ყველა ის საბუთები, რაც ამხელდა მათ ბნელს და უსამართლო საქმეებს. მათ ვერ მიაღწიეს მიზანს: ცეცხლის მქრობელმა რაზმმა მალე ჩააქრო ცეცხლი და ბევრი რამ გადარჩა, რაც ნებას მისცემს ხალხს გამომეძიებინოს ძველი რეჟიმის გმირების საქმენი საგმირონი.

ქალაქის საბჭოდან ჩვენი ეგრედ წოდებული „ქართული რაზმი“ პოლიტეხნიკუმის დარბაზში გაგზავნეს, სადაც მუშათა დეპუტატების საბჭოს სხდომა იყო და უნდა დაგვეცვა პოლიციის თავდასხმისაგან. შევასრულეთ თხოვნა. როცა ბჭობა გათავდა, მუშებმა გვთხოვეს დაგვერაზმა იგინი და წინ გავძღოლოდით ქალაქის საბჭოსაკენ. დიდის სიამოვნებით ავასრულეთ მათი თხოვნა. მარსელიეზის მღერით გამოგვყვა უკან ათი-ათასი კვამლით და მტვრით შემურული მუშა, რომელთაც ქალაქის საბჭოს კარებთან წაიკითხეს თავიანთი ბჭობის რეზოლიუცია. ეხლა შევუდგეთ მუშაობას სამშობლოს საკეთილდღეოთაო, რაკი გამარჯვებულები ვართ და თვითმპყრობელობა დაცემულიაო.

2 მარტი 1917 წელი მოსკოვში—ეს ისეთი დღე იყო, როგორიც რუსეთს მთელ თავის ისტორიულ ცხოვრებაში არ უნახავს.

პეტროგრადის ცაზე ხალხის რისხვა შეიკუმშა ღრუბლად, იგრიალა მძლავრათა და მეხი დაეცა ძველ მთავრობას, ძველ წეს-წყობილებას, გარდასულ ხანას, რომანოვების დინასტიას—მეფობას! მოსკოვიც გამოეხმაურა და ორი მარტი ეს ის დღე იყო, როდესაც მრავალ ხალხიანი ქალაქი ფეხზე დადგა და გულის ძგერებით ისმენდა წითელ მოედანზე ორატორების სიტყვებს, რომელთა თავსაც ფრიალებდნენ წითელი დროშები, გაჰქონდა მარსელიეზს გუგუნი და ისმოდა განუწყვეტელი „ურა“. დიდმა, თუ პატარამ, ქალმა თუ კაცმა, ყველამ აზიდა თავის გულს სარქველი და აღმოჰხდა შადრევანი დაგუბებულ გრძნობათა. ავტომობილებით დაჰქროდნენ შეიარაღებული ახალგაზრდები—სტუდენტები და ჯარის კაცები, სჩხრეკდნენ საპოლიციო განყოფილებებს და ატყვევებდნენ აუარებელ მორწმუნეთ ძველის წყობილებისას. ყველას თავისი თავი გულში ჩუმად უმზადებია ამ დღისთვისაო,—ისე შეწყობილადა და შეთანხმებით მუშაობდნენ ყველანი.

გაკეთდა საქმე, სისხლი არ დაიღვარა და ხალხს გაუთენდა დღე თავისუფლებისა, საიდანაც უნდა დაიწყოს ახალი სტილი, ახალი ცხოვრება.

ჩვენ ჩვენის რაზმით ვეშველებოდით ჩვენს თანამოძმე რუსებს. ჩვენ დავიკავეთ **Охранное отдѣленіе**, ყველა კუთხე ამ ფუარმაზარისა და საკვირველ გეგმის შენობისა ახალი მთავრობის ხალხით გაივსო და ჩვენ, ქართველებს, მოგვანდეს მისი დაცვა, სადაც ჩუმადა ძვრებოდნენ ჯაშუშები, პოლიციის აგენტები და იპარავდნენ მათ სამარცხვინოდ მამხილებელ დოკუმენტებს. თავის დღეში არ დამავიწყდება ის წუთები, როდესაც ვიდექი სადარაჯოზე და ვიცავდი **Охранное отдѣленіе**-ს, რომლის დანგრეულ კედლებშიც მოსკოვის ცივი ქარი ზუზუნებდა და თოვლს ატრიალებდა ჰაერში. მე ვიდექ ორი მარადისობის კედლებ შუა: ერთის მხრით აყუდებული იყო დარღვეული, ძველი მარადისობის შავი კედელი, ხოლო მეორეს მხრივ კედელი ახალი, ჯერ უცნობის მარადისობისა და ისე ახლო-ახლო იყვნენ ერთმანეთთან ეს კედლები, რომ მათ შუა მდგომს გული მიფრთხოლებოდა, თმა ყალყზე მიდგებოდა და მოსკოვის ცივი თოვლიანი ქარი უსტვენდა ძველი წყობილების ნანგრევებში, ატრიალებდა ქაღალდებს, სხვა და სხვა საბუთებს დანგრეულ რეჟიმისას. ერთი ქაღალდის ფურცელი თვალებში მომახალა ქარმა, წავიკითხე და ვიღაცა სთხოვდა გრადონაჩალნიკს: მიმიღე სამსახურში, მეტად დახელოვნებული პირი ვარ ჯაშუშობაშიო და თანაც საბუთები მოჰყავდა 1905 წლის რუსეთის ცხოვრებიდან. სამ პოზად გადაღებული სურათები არა კეთილსაიმედო პირებისა მილიონობით ეყარა ძირს, ზედ დავდიოდი და ვდარაჯობდი ახალ განთიადს, ახალს ცხოვრებას. იმ სურათებში უნებურად თვალი მოვკარ ჩემი ერთი ამხანაგის სურათს, მეორისას, მესამისას და აგრეთვე, სახსოვრად შევინახე, რომელთაც მივუტან მათ სამშობლოში რომ დავბრუნდები. ეს სურათები სამ პოზაზე გადაღებული და შიგ ყველაფერი ვინაობა დაწვრილებით არის მოთხრობილი იმ პირებისა, რომელთაც იღებდნენ ან ფარულად, ან შეპყრობის დროს, ამ სურათებს ამზადებდნენ მაძებართათვის, რათა თვალყური ედევნებინათ, როგორც შენიშნულ პირთათვის.

მეორე დღეს მოვიდნენ მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორები და შეუდგნენ **Охранное отдѣленіе**-ს არხივის ჩხრეკას. ამ პროფესორებს მე ვიცავდი ჯაშუშთა დაცემისაგან და ერთად ვმუშაობდით. ბევრი რამ საინტერესო იყო საბუთებში: პოლიცია სთხოვდა იმპერატორს ჯამაგირების მომატებას—ისიც სთანხმდებოდა დიდის სიამოვნებით; ითხოვდნენ მაძებარ შტატისთვის სხვანაირ ტანისამოსსა და მილიონები დგებოდა ჯამში. ცალკე საპარიკმახერო, ცალკე ფოტოგრაფი, ცალკე სასტუმრო აგენტებისთვის, ცალკე კამერები, ბნელი ოთახები და ერთი სიტყვით არ შეიძლება ამ **Охранное отдѣленіе**-ს მნახველს თმა ყალყზე არ აუდგეს და არ წამოიძახოს: აი ჯოჯოხეთი და მართალთა გოლგოთაო! სხვათა შორის პროფესორებმა წაიკითხეს ერთი წერილი: ვიღაცა ქალი იწერებოდა, ხომ გახსოვს ის ჩემთან განცდილი სამური, ტკბილი წუთები, რომელთაც, შენის სიტყვით, არასოდეს დაივიწყებდი. მომიგონე და ერთი თხოვნა ამისრულე: მომიხერხე, როგორმე კოლია ჯარში არ გაიწვიონ, ზურგში სადმე სამსახური უშოვე პოლიციის კანცელარიაშიო... ბევრი ისეთი მაგალითებია, რომ მათი მოყვანა ყოვლად შეუძლებელია. ამავე დროს ვიცით, რომ მათზე იხარჯებოდა ხალხის ფული მილიონობით ხალხისავე დასარბევად.

ყველაფერი დაწყნარდა. დღეს 12 მარტს საერთო დემონსტრაციაა გამარჯვებული ხალხისა. ჩვენი რაზმი მილიციის უფროსმა ნიკიტინმა ტეატრალურ მოედანზე გაგზავნა, თანაც მითხრა, იარაღს ნუღარ წაიღებთ, იარაღი აღარ არის საჭირო, ეხლა მხოლოდ წესიერება უნდა დაიცვათ გამარჯვებული ხალხისაო. ჩემწინ მილიონი ხალხი მიდის წითელი დროშების ფრიალით; მღერის თავისუფლების ჰიმნსა და ათი-ათასი ენა თავისუფლად ლაღადებს თავის გულის-ნადებს, თავის დღემდე დაფარულ წმიდათა-წმიდას. სადღაც იგრიალა ხალხის გულიდან „ურამ“, სჩანს იქ გაიარა პოდპოლკოვნიკმა გრუზინოვმა და ხალხი ვაშას ძახილით მიეგება. ეს ის პოდპოლკოვნიკია, რომელმაც პირველმა გამოიყვანა თავისი ჯარი ძველი წყობილების წინააღმდეგ და რომელმაც გადაიბირა თავის მხარეს მთელი გარნიზონი მოსკოვისა... შესანიშნავად დასრულდა დემონსტრაცია: იდღესასწაულა ხალხმა თავისუფლების დიადი დღე და მშვიდათ დაიშალა ღამის თორმეტ საათზე.

ქართველო ხალხო! რუსის ძლიერი ხალხი აღსდგა თავის სამშობლოში და აღსდგა ყველა კულტურულ ხალხების თვალშიც. მან წასაბაძი საქმე ჩაიდინა! დღევანდლამდე სხვებსაც და ჩვენ, ქართველებსაც, რუსის ძველი რეჟიმი გულზე ლოდად გვედო, ენაზე კლიტეთ და გვამტერებდა ერთმანეთს. დღეს რუსის მთავრობა კი არა—ხალხი გვიდგა მხარში, დღეს ძმამ ინახულა თავისი ძმა და შეჰფიცეს ერთმანეთს, როგორც აქამდე ერთადა სწიეს მძიმე უღელი და ჯვარი გოლგოთისაკენ, ისე დღეის იქით ერთად განაგრძონ გზა და შუა გაიყონ სიხარული, ნეტარება მომავლისა, რომელიც მოიპოვა მან ქართველ ხალხთან ერთად. მხარში ამოვუდგეთ მოძმე რუსებს. რუსის ხალხი გაიგებს ჩვენს ტკივილებს და არაფერს დაზოგავს ჩვენთვის, როგორც არაფერსა ვზოგავდით ჩვენ მათთვის.

გაუმარჯოს რუსეთის ხალხს!

გაუმარჯოს იმის პატარა ძმას საქართველოსაც!

გაუმარჯოს საქართველოს თავისუფლებას!

ი. მჭედლიშვილი.

რედაქტორ-გამომცემელი
დ. ჯორჯაძე.

ამიერ-კავკასიის რკ. გზის მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია ტფილისის)

ტფილისიდან გადის:

			ს. წ.	
ბათუმისკენ	საფ.	№ 3,	11.03	დილ.
„	სამგზ.	№ 9,	11.43	საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 19,	3.19	დღ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	9.20	დილ.
„	სამგზ.	№ 8,	3.49	დღ.
„	საფ.	№ 4,	9,23	საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-3,	11.13	საღ.
თელავისაკენ		№ 4,	8.28	დილ.
ხაშურის სამგზ.		№ 5,	9.10	დილ.

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგზ.	№ 10	8 37	დილ.
„	საფ.	№ 4,	3.38	საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.45	დილ.
ბაქოდან	საფ.	№ 3,	10.08	დილ.
„	სამგზ.	№ 7,	4.12	საღ.
„	ჩქარ.	№ 5,	10.40	საღ.
ხაშურიდან სამგზ.		.	6.34	საღ.
თელავიდან		. № 3,	6.24	საღ.

ექიმი ქალი
ს. ზ. მირზოევი,
უფროსი ორდინატორი ტფილისის თვალთა საავადმყოფოსი, იღებს $1\frac{1}{2}$—$3\frac{1}{2}$ ს., გარდა კვირისა. მისამართი: სერგიევის ქ. № 1. ტელეფ. 16—67.

ექიმი
ნარიმანოვი
ვენერიულ, კანის, ათაშანგის და მისი შედეგებისა. წამლობა „606“ და „914“ პრეპარატებით. ავადმყოფები მიიღება ყოველ-დღე საღ. $5\frac{1}{2}$ ს.-დან 8 ს.-მდე. ნიკოლ. ქ. № 33. ტელ. 16—17. 437

ექიმი
თიკანაძე
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათ. მისამართი კიროჩნი ქ. 18. ტელეფ. 11-82
216

ექიმი
ვ. მუსხელიშვილი
იღებს ავადმყოფთ დღის 12—2 საათ. [illegible] ქ. № 6.

ექიმი კბილისა
ნინო რცხილაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 საათ. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 კირპიჩნი ქუჩის შესახვევის 21.

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ
ყოველ დღე (გარდა კვირისა)
დილით:
11—12 ს. „606“ და „914“
ი. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიულ. (სიფილის ავადმყ.).
ბ. გ. აგახაროვი: $9\frac{1}{2}$—2 ს. ბავშვთა-შინაგანი ავადმყ.
მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
საღამოთი:
ა. ნ. ახაკოვი: 6—7 ს. ქალთა ავადმყ. და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ი. ა. ნავასარდიანი.

ექიმი
ფ. ა. მი[illegible]აძე
მიიღებს შინაგან და ბავშვთა [illegible] ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 171.

ექიმი
კ. ი. გვარჯალაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებათა ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე საღამოს 6—7 საათ. კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა № 4. სასტუმრო [illegible] გვერდით ტელეფ. 15—00.
1008

ექიმი
ე. ლ. შალამბერიძე
იღებს საბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი: პეტროგრადის ქ. № 7.

ექიმმა
ფავლენიშვილმა
განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 4—7 საათამდე. მისამართი: კუთხე მუხრანის და ბაგრატიონის ქუჩისა № 23/31. 151

ექიმი
მ. დ. წინამძღვარიშვილი
ყოფილი ორდინატორი თერაპევტიულ კლინიკებისა, ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტისა. შინაგანი სნეულებანი. გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად. იღებს საღ. 5—7 ს.-დე, ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა. მიხეილის პროსპ., № 36, მეორე სართული. 1059

სამკურნალო კაბინეტი ექიმ
კ. ს. ფონ-ირტელის
სპეციალისტი ქირურ., საშარდე-საშვილ, სიფილისის, ვენერიული და კანის (გახივება, ბუასილი, უკაცობა, [illegible] ონანიზ. და სიფილ., თირკმელების ავადმყ.), წამლობა სიფილისისა ერლიხის პრეპარ. „914“ და „606“ და ელექტრონით. ორივე სქესის ავადმყოფებს იღებს 9—12 ს. და საღ. 4—8 ს. მიხეილის ქ. 128 შესავ. [illegible] ქ. 1, მეორე კარი. 1252

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსის. ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებათ ავადმყოფებს იღებს ყ.-დღე საღ. 5—6 ს. კვირა დღის გარდა. 1058

ქუთაისში
ექიმი
მ. ი. ჩხენკელი
იღებს ბავშვთა და შინაგანი სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე, დილის 9—1 ს., საღამოს 5—8 ს. ტფილისის ქუჩა, გოკიელოვის სახლი. 1051

ექიმი
ნ. ნ. ჯავახიშვილი
ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს ახალ ბინაზე, საღამოს 6—7 საათამდე, კვირა დღის გარდა.
ვერის მოედანი, ექიმი სობესტიანსკის სახლი. იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. ტელეფონი 5—54. 1064

თევზის მრეწველნი
ძმ. ძებველოვები
პუშკინის ქ., საკუთ. სახლი № 9, ტელეფ. № 712.
ყოველ დღე მოგვდის ახალი [illegible]თის **ხიზილალა**, სრულებით ცოტა მარილიანი, შავი „მეშოჩნი“ ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო სალიანის **შამაიები**. მუდმივ გვაქვს **ცოცხალი**. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი თართი, ფარგა და ლოქო. გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა. ხანგრძლივ ინახება. 1085

უპირველესი, რადიკალური და სწრაფი
მასთან იაფი საშუალება
სიფილისის, სახსრების ავადმყოფობას, სახსრებისა და კუნთების ქრონიკულ რევმატიზმის, ნეკრესის ქარების, საერთო გადამდებ ავადმყოფობას, ლითონებით მოწამლულს, თვალის ავადმყოფობას, სიფილისის წყლულებს, წითელას, ხერხემლის გამოფიტვას, დამბლას და სხვას საჩქაროდ კურნავს საქვეყნოდ ცნობილი შვეიცარიული საექიმო საშუალება პროფესორ როშის
იოდასტარინი
ნუ შეგვცდებათ სხვა პატენტოვან საშუალებებში. პროფესორ როშის პრეპარატი წმინდა საექიმო საშუალებაა, გასინჯულია საუკეთესო ევროპიულ კლინიკებში და სანატორიებში კურსების ფასი 32 მანეთი $\frac{1}{2}$ 16 მანეთი $\frac{1}{4}$ 8 მანეთი ყოველი მილი 50 მანეთი ღირს. სხვა ქვეყნებში იგზავნება ხუთი მანეთის ბეის მიღების შემდეგ. ვისაც რაიმე მოლაპარაკება და პრეპარატის შეკვეთა გსურთ, მიმართეთ პარიზის საფარმაცევტო ლაბორატორიას.
ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 16—1—4. სახელმწიფო ბანკის ახლოს.
Тифлисское Отдѣленіе Парижской Фармацевтической Лабораторіи Тифлисъ, Лорисъ-Меликовская № 16, отд. 1—4. противъ Государственнаго банка.

სუსუნატით ([illegible])
ავადმყოფებს
რომელთაც მრავალხნის განმავლობაში დიდ-ძალი ფული დაუხარჯნიათ, მაგრამ თავის ავადმყოფობისათვის ვერა უშველიათ-რა, ეხლა საშუალება აქვთ საბოლოოდ განთავისუფლდნენ მისგან, თუ შეიძენენ ცნობილ საშუალებას „რეზუროლინი“, რომელიც სულ ცოტახანში არჩენს გაარჯლებულ და ქრონიკულ სუსუნატს საშარდე ბუშტისას, პაჭებისას და სხვ.
რატომ
ზოგჯერ ავადმყოფები ყურადღებას არ აქცევენ ავადმყოფობას და იგი მთელს ტანში ვრცელდება
იმიტომ რომ
ჯერ ერთი დღეს დიდი კრიზისია წამლებისა.
მეორედ იმიტომ, რომ მართლაც ძნელი ნამდვილ, რადიკალურ საშუალების გამონახვა,
მაგრამ ყველა ავადმყოფებს, ქალი იქნება თუ ვაჟი, უნდა შეიძინოს საშუალება „რეზუროლინი“. სპეციალისტ-ექიმების დიდი ხნის გამოცდილებამ, აგრეთვე პროფესორებისამ, დაამტკიცა რომ
რეზუროლინი
ნამდვილად არჩენს სუსუნატს. მთლად მოსარჩენათ ახალი ავადმყოფობისა ღირს 21 მანეთი, დაძველებულისა 35 მან. 50 კ. სხვა ქვეყნებში გაიგზავნება 5 მანეთის (ხუთი) ბეის მიღების შემდეგ.
შეკვეთა და ცნობების მიღება შეიძლება მხოლოდ პარიზის საფარმაცევტო ლაბორატორიის ტფილისის განყოფილებაში. ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქ. № 16, ნაწ. 1—1. სახელმწიფო ბანკის პირდაპირ.
За заказами и справками обратиться въ Тифлисское Отдѣленіе Парижской-Фармацевтической Лабораторіи Тифлисъ, Лорис-Меликовская № 16 отд—1—1. на противъ Государственнаго Банка.

[illegible] „[illegible]“ [illegible] ტ. 7 [illegible], ლორის-მელიქოვის [illegible] ქ. [illegible] შენობა